yოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba




„ახალი თაობა“
+„ჩერჩილი“
yfobkb 66
8 ლარი
„ახალი თაობა“
+„განდი“




ოთხშაბათი, 11 მაისი, 2011 №110 (5491) ფასი: 30 თეთრი

# ვინ ჩაიბარებს 26 მაისს აღლუმს — ბურჯანაძე თუ სააკაშვილი

„ასიათასობით ქართველი მოუთმენლად ელოდება ამ ხელისუფლების წასვლას, რათა აღლუმი სამარცხვინო მთავარსარდალმა ველარ ჩაიბაროს“



გვ.2

## სააკაშვილმა 111 ადვოკატი დააპატიმრა

გვ.3

მინსკი კალმახელიძის ბრძანების გამო ადვოკატებს დღეში რამდენჯერმე უწევთ დამამცირებელი ჩხრეკის პროცედურის გავლა





## თბილისში აქციები 21 მაისამდე გაიმართება

ველოდებით, როდის იქნება ხალხის განწყობები მზად უფრო სერიოზული ნაბიჯებისთვის

გვ.2

## ომბუდსმენის ანგარიშის მოსმენა გადაიდო



გვ.3



## საინგილოში ქართველ სასულიერო პირებს ავიწროებენ

გვ.4

ეპისკოპოსი მელქისედეკი ხელისუფლებისგან ყურადღებას ითხოვს

## ცხინვალში შეიძლება საპრეზიდენტო არჩევნები არ ჩატარდეს

გვ.4

## ეს ხელისუფლება მალე დამთავრდება!

გვ.6





## ხელისუფლება პროვოკაციაზე განზრახ მიდის

გვ.12

ჩვენ საკუთარი უფლებების დაცვა უნდა ვისწავლოთ

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

**5** შიშის დაძლევა ამ ხელისუფლებას დაამთავრებს

**4** მოსკოვს მსო-ში გასაწევრიანებლად ვაშინგტონის მხარდაჭერის იმედი აქვს

**5** დათო მაღრაძეს შვეიცარიამ კულტურის ელჩის წოდება მიანიჭა

**3** წამებით დახოცილი პატიმრების შვილებისთვის საქველმოქმედო აქციას გაიმართება

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ვინ ჩაიბარებს 26 მაისს აღლუმს — ბურჯანაძე თუ სააკაშვილი

ნათია ხურცილავა

**პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ხელისუფლებაში რევოლუციის გზით ერთხელ უკვე მოვიდა. როგორც ირკვევა, ის ისევ რევოლუციის გზით აპირებს ხელახლა ხელისუფლებაში მოსვლას.**

ნინო ბურჯანაძემ ალბათ კარგად იცის, რომ ერთ წყალში ორჯერ არ შედიან, მაგრამ როგორც ჩანს, ახლა ეს



შეგონება ბურჯანაძისთვის იმდენად უადგილოა, რომ ქართულ სინამდვილეში ასეთი გამონათქვამის არსებობასაც კი ეჭვის თვალით შეხედავს.

ფაქტია, რომ ნინო ბურჯანაძე რაღაც დიდისთვის ემზადება, ეს დიდი, არც მეტი, არც ნაკლები, პრეზიდენტობის სურვილია. ამ სურვილის ასრულებაში მხარდამჭერების გარეშეა, ვგულისხმობ ოპოზიციური პარტიების თუ ლიდერების მხარდაჭერას. თუმცა, საქართველოში, როგორც იტყვიან, ყველას თავი პირველ კაცად თუ ქალად წარმოუდგენია.

ბურჯანაძე, როგორც იტყვიან, დიდ ბრძოლაში მარტოა. მეტიც, მას „ქართულმა პარტიამ" ბრძოლის წამოწყებაში დაასწრო, მაგრამ „დემოკრატიული მოძრაობა" „სახალხო კრებასთან" ერთად საბოლოო ბრძოლისთვის ემზადება. ეს ბრძოლა კი, როგორც გვპირდებიან, ამ ხელისუფლების გაშვებით და ახალი სამართლიანი არჩევნებით დასრულდება.

ამბობენ, რომ ნინო ბურჯანაძეს უთქვამს, თუ ამ ბრძოლაში წავაგებ, პოლიტიკიდან წავალ კიდეცო. წავა თუ არა ქართული პოლიტიკიდან ნინო ბურჯანაძე, ეს რთული სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ „ბოლო ბრძოლაზე", როგორც თავად აცხადებენ, ბურჯანაძის მომავალი პოლიტიკური კარიერაა დამოკიდებული.

„ბოლო ბრძოლის" შესახებ საზოგადოებამ ბევრი არაფერი არ იცის. ტაქტიკა და სტრატეგია, შეიძლება ითქვას, გასაიდუმლოებულია. თუმცა, „ქუდზე კაცი"-ს შესახებ განცხადება უკვე გაკეთებულია და ამის ავტორი ბურჯანაძეა.

„სახალხო კრების" ლიდერები ათი ათასობით მოქალაქის გამოსვლას ელოდებიან. ნონა გაფრინდაშვილის განცხადებით, სწორედ ხალხია მათი ძალა.

სავარაუდოა, რომ სწორედ ხალხის რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული „სახალხო კრების" მოქმედების გეგმაც.

გავრცელებული ინფორმაციით „ქართული პარტია" 21 მაისს „ლოკომოტივის" სტადიონზე აპირებს შეკრებას. ამ ინფორმაციას სოზარ სუბარი არც უარყოფს და არც ადასტურებს.

21 მაისს „ქართული პარტია" თუ მართლაც შეიკრიბება „ლოკომოტივის" სტადიონზე, ეს იქნება დასტური, რომ ეს ორი პოლიტიკური ძალა ერთმანეთისთვის ხელისშეშლას აპირებს და მათი გზები საბოლოოდ გაიყრება.

რის შეთავაზებას აპირებს „სახალხო კრება" საზოგადოებისთვის, რა იქნება სიახლე, უცნობია. ასევე უცნობია, აქციები ყოველდღიურად გაიმართება თუ მხოლოდ ლოკალური ხასიათის იქნება.

ასევე საუბრობენ დაუმორჩილებლობის გამოცხადების შესახებ, თუმცა, რა ფორმით, როგორ, ესეც უცნობია საზოგადოებისთვის.

როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს, რთული სათქმელია. ბევრი რამე სწორედ 21 მაისს გახდება ცნობილი.

გამოვა თუ არა ხალხი ქუჩაში? თუ იდეა „სახალხო კრების" შესახებ მართლაც მკვდრადშობილია, ეს სწორედ 21 მაისს გაირკვევა.

ნინო ბურჯანაძემ უკვე გააკეთა ერთი მკვეთრი განცხადება აქციასთან დაკავშირებით, რომ 26 მაისს ხელისუფლება აღლუმს მშვიდად ვერ ჩაიბარებს.

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერი ფიქრობს, რომ ხელისუფლებას გაუჭირდება მშვიდად იყოს.

ნინო ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ საბოლოო ბრძოლა წარმატებით დასრულდება.

ხელისუფლების განცხადებას აღლუმის ჩატარების შესახებ კი, „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი პიარის კუთხით ხელისუფლების სწორ ნაბიჯად აფასებს.

„დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი აცხადებს, რომ ასი ათასობით ქართველი სულმოუთქმელად ელოდება ხელისუფლების წასვლას, რომ აღლუმი სამარცხვინო მთავარსარდალმა არ ჩაიბაროს.

— ხელისუფლებას კარგი პიარშიკები ჰყავს და საკუთარ პიარზე მილიონებს ხარჯავს. რა თქმა უნდა, პიარის თვალსაზრისით ხელისუფლება სწორად მოიქცა, როდესაც განაცხადა, რომ აღლუმი გაიმართება. მათ ამ განცხადებით იმის დემონსტრირება გააკეთეს, რომ დარწმუნებულები არიან, არაფერი იქნება და 21 მაისი, მათი წარმოდგენით, არაფრით არ დასრულდება. ფიქრობენ, რომ 26 მაისს მშვიდად და წყნარად ჩაატარებენ აღლუმს. ჩვენ კი ასე არ ვფიქრობთ. ასე არ ფიქრობს ასი ათასობით ქართველი, რომელიც სულმოუთქმელად ელოდება ამ ხელისუფლების წასვლას, რომ აღლუმი სამარცხვინო მთავარსარდალმა ველარ ჩაიბაროს, — განაცხადა ბურჯანაძემ.

გუშინ პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განცხადება გააკეთა, რომ 26 მაისს აღლუმი საზეიმო ვითარებაში რუსთაველის გამზირზე გაიმართება.

დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი საზეიმო აღლუმი 26 მაისს რუსთაველის გამზირზე გაიმართება, თუმცა, თავისუფლების მოედანზე აქციის მონაწილეების რეაქცია როგორი იქნება აღლუმის მიმართ, რთული სათქმელია.

26 მაისს აღლუმზე რა სახის ტექნიკა და რა რაოდენობის პირადი შემადგენლობა მიიღებს მონაწილეობას, უცნობია.

26 მაისს აღლუმი თბილისში თითქმის ყოველთვის, ქვეყნის მთავარ გამზირზე რუსთაველის პროსპექტზე ტარდებოდა. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც აღლუმი არ ჩატარებულა, მაგრამ ამის მიზეზი არ ყოფილა ოპოზიციის საპროტესტო აქციები.

2009 წელს 26 მაისს აღლუმის არჩატარების მიზეზი აგვისტოს ომი იყო.

გასულ წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმი რუსთაველის გამზირზე ტრადიციულად ჩატარდა. ქვეყნის მთავარსარდალს პატაკი აღლუმის სარდალმა, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა დევი ჭანკოტაძემ ჩააბარა.

ცნობილია, რომ შარშანდელ აღლუმში 4 325 ქვეითი, ქვეითების მსუბუქი ავტომანქანები, მსუბუქი ავიატექნიკა, ჯავშანტრანსპორტიორები მონაწილეობდნენ.

# თბილისში აქციები 21 მაისამდე გაიმართება

## ველოდებით, როდის იქნება ხალხის განწყობები მზად უფრო სერიოზული ნაბიჯებისთვის



ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ქართული პარტიის თავმჯდომარე სოზარ სუბართან

***— ბატონო სოზარ, მოდით გუშინდელი აქციის შეფასებით დავიწყოთ. როგორც ცნობილია, ქართულმა პარტიამ კახეთიდან დაიწყო საპროტესტო აქციები. რა განწყობაა ხალხში?***

— უნდა ვთქვა, რომ ეს იყო მართლა პირველი ამ მასშტაბის აქცია, ყვარლის რაიონში, სადაც ჩვენ ფინალური აქცია გავმართეთ და ზოგადად კახეთის რეგიონში. მეორე, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ეს იყო ხალხის განწყობა, რომლებიც აღფრთოვანებულნი და აღტაცებულნი გვხვდებოდნენ ყველგან და ეს ჩანდა ცალსახად. მიუხედავად წინააღმდეგობისა, მიუხედავად შიშისა, მიუხედავად დაშინების მცდელობებისა, უამრავი ადამიანი მოვიდა აქციაზე. დაშინების მცდელობა იყო მართლაც უამრავი, დარბოდა პოლიცია, სამხარეო, რაიონული სტრუქტურები, ცდილობდნენ, ხალხი დაეშინებინათ, რომ არ გასულიყვნენ აქციაზე, გადაკეტილი ჰქონდათ სოფლიდან გამოსასვლელი გზები, მაგრამ ყოველივე ამან ვერ შეძლო ხალხის შეჩერება და უამრავი ადამიანი მოვიდა აქციაზე. თქვენ წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა ნორმალურ ვითარებაში, ეს შიში ასე ძლიერად რომ არ იყოს. ეს იყო ძალიან კარგი სტარტი და გამოჩნდა ხალხის მზადყოფნა, გამოჩნდა, რომ ის შიში, რომელზეც ასე ხშირად ვლაპარაკობთ, თუ ბოლომდე დაძლეული არ არის, ყოველ შემთხვევაში, ამ შიშის დაძლევის პროცესი დაწყებულია.

***— საკმაოდ ბევრი კრიტიკა მოჰყვა 9 მაისს ქართული პარტიის მიერ დაწყებულ აქციას. ითქვა, რომ ოპოზიციაში დასწრებაზეა აქციების დაწყება და თარიღების დაანონსება. რა პოზიცია გაქვთ ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

— რა გითხრათ. 22 მაისს რომ დაგვეგეგმა, ვთქვათ, მაინტერესებს, რას იტყოდნენ. სადღაც ხომ უნდა დაიწყო. ჩვენ მკაფიოდ გვქონდა ნათქვამი, რომ აპრილის ბოლოსთვის, მაისის დასაწყისში ჩვენ დავამთავრებდით პარტიის ძირითადი სტრუქტურის მშენებლობას. თქვენ რომ გადახედოთ ჩვენს ინტერვიუებს, ბევრჯერ აღმოაჩენთ ზუსტად ამ თარიღებსა და სიტყვებს, რის შემდეგაც ვიწყებდით კონკრეტულ ქმედებებზე გადასვლას. ჩვენ ერთი ეტაპი დავამთავრეთ ზუსტად იმ ვადებში, რომელსაც ვასახელებდით და დავიწყეთ მეორე ეტაპი.

***— უბრალოდ, წინასწარ არ დააანონსეთ კონკრეტული დღე?***

— 9-ში რომ ვაპირებდით, გამოვაცხადეთ რამდენიმე დღით ადრე და ერთი თვით ადრე ხომ არ დავაანონსებდით? რამდენიმე დღით ადრე ვაანონსებთ, რომ 14-ში იქნება აქცია ბათუმში. ამას მოჰყვება აქციები თბილისსა და მთელ საქართველოში. რიცხვები იმ აქციებისაც ზუსტად ვიცი, მაგრამ ყველაფრის წინასწარ თქმაა საჭირო. 14-ში გამოვაცხადებთ შემდეგი აქციის თარიღს. ასე მივდივართ ზოგადად. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო ის, რაც ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა თქვა ამ რამდენიმე დღის წინ „მაესტროს" ეთერში, რომ მისი პირველი რეაქცია იყო ერთგვარად ცხელ გულზე გაკეთებული და მთლიანობაში, მაშინ როდესაც მან არ იცოდა, რას ვგეგმავდით და რაზე იყო ლაპარაკი. ზოგჯერ არის ხოლმე, რომ ჟურნალისტებმა შეიძლება ისე მიუტანონ ადამიანს ინფორმაცია, იმგვარად მიაწოდონ, რომ მისი რეაქცია იყოს დაფუძნებული იმ წუთიერ შთაბეჭდილებებზე და არა რეალურ მდგომარეობაზე. ეს უნდა გავითვალისწინოთ, როცა ვლაპარაკობთ კრიტიკოსებზე და ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს, ადამიანს, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ და რომელიც ასე ადვილად არაფერს იტყვის. შეიძლება, ვიღაცამ სრულიად შეგნებულად გააკეთოს იმავე ტიპის განცხადება პროვოკაციული მიზნებით.

***— თუ არის იმის შანსი, რომ ეს ორი ოპოზიციური ძალა, საბოლოო ჯამში, ერთად დადგეს. ბევრს საუბრობენ ამის შესახებ და ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ეს ფაქტი. თქვენ რამდენად ხედავთ ამის შანსს?***

— ჯერჯერობით ჩვენ ამაზე არ ვლაპარაკობთ. ჩვენ მივდივართ ჩვენი დღის წესრიგით და გაერთიანებისა და ერთად დგომის შანსი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, მათ შორის იმაზეც, რომ ზუსტად ვიცოდეთ, რას გეგმავს სახალხო კრება, რაც მე ნამდვილად არ ვიცი. როდესაც ჩვენ ვთქვით, რომ 9 მაისს ვიწყებდით აქციებს კახეთიდან, ძალიან მკაფიოდ ჩამოვაყალიბეთ ჩვენი პოზიცია, თუ რას ნიშნავდა ეს აქციები, მიუხედავად იმისა, რა კუდების მობმა არ სცადა ამაზე „რუსთავი 2"-მა, რომელმაც ათასი საძაგლობა ილაპარაკა და აბსოლუტურად რეალობას მოწყვეტილი სიუჟეტები აკეთა, ამის მიუხედავად, ჩვენ მკაფიოდ გვქონდა ნათქვამი, რომ ეს არის, ერთი მხრივ, წერტილოვანი დარტყმების მიყენების მცდელობა ხელისუფლებისთვის, კონკრეტული პრობლემების გაშიშვლებისა და ხალხისთვის დახმარება ამ პრობლემების გადაწყვეტაში და, მეორე მხრივ, ერთგვარად ხალხის მობილიზების მცდელობა, მცდელობა იმისა, რომ ხალხმა დაინახოს, არის ისეთი პარტია, რომელიც მზადაა, სათავეში ჩაუდგეს საერთო-სახალხო მოძრაობას ხელისუფლების შეცვლისთვის. აი, ეს ორი მიზანი გვაქვს ჩვენ და ეს რამდენ ხანს გაგრძელდება, ანუ ეს ეტაპი, ამის თქმა ძალიან გამიჭირდება, იმიტომ რომ გაგრძელდება მანამ, სანამ არ დავინახავთ, რომ საზოგადოება უკვე მზად არის უფრო სერიოზული ნაბიჯებისთვის. ეს თვითონ საზოგადოებამ უნდა დაგვანახვოს, საზოგადოებამ უნდა გვითხრას. ჩვენ ნამდვილად არ ვაპირებთ აჩქარებას მანამ, სანამ ეს არ გამოჩნდება. ეს მოხდება 14-ში, 21-ში, 26-ში, თუ როდის, ამის წინასწარ დაგეგმვა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. თუმცა, რაც მალე იქნება, მით უკეთესი. ამ შემთხვევაში ჩვენ არავისთან კონკურენციაში არა ვართ. იქნება ის ძალა, რომელიც ამას ჩვენ ნაცვლად გააკეთებს, მე მხოლოდ-დამხოლოდ მივესალმები. ასე რომ, როცა ვლაპარაკობთ 21 მაისზე, ჩვენი თავშეკავების ერთადერთი მიზეზი არის შემდეგი, რომ ნამდვილად არ ვიცით, რა იგეგმება და რამდენად სერიოზულია ეს აქციები, რომლებიც შეიძლება იმ დღეს დაიწყოს და დაიგეგმოს. ასე რომ, რაც არ ვიცით, იმაში, შესაბამისად, მონაწილეობას ვერ მივილებთ, ამიტომ, როცა სვამენ კითხვას, ემიჯნებით თუ არა ან უერთდებით თუ არაო, პასუხი მარტივია — არ ვემიჯნებით, არ ვუერთდებით, ვუყურებთ, რა მოხდებაო.

***— ელოდებით პროცესების განვითარებას?***

— ველოდებით არა იმდენად იმას, თუ რას იზამს რომელიმე კონკრეტული ძალა, თუნდაც სახალხო კრება, ველოდებით, როდის იქნება ხალხის განწყობები მზად უფრო სერიოზული ნაბიჯებისთვის.

***— თქვენ თქვით, რომ 14 მაისს იგეგმება აქცია ბათუმში. როდის იგეგმება თბილისში, ეს იქნება 21 მაისამდე თუ 21 მაისის შემდეგ?***

— 21 მაისამდე. ამაზე შემიძლია ახლავე გიპასუხოთ ძალიან კონკრეტულად. ოღონდ თბილისშიც ამ შემთხვევაში ეს არის ერთდღიანი აქცია ერთი კონკრეტული მიზნით.

***— ეს რამდენიმე დღეა ვრცელდება ინფორმაციები, რომ კოკა გუნცაძე და ლევან გაჩეჩილაძე ქართულ პარტიას ტოვებენ, რომ ქართული პარტია იშლება. რას გვიპასუხებთ ამ ყველაფერზე?***

— მე მგონი, ამას პასუხი გუშინვე გაეცა, მიუხედავად სახელისუფლებო ტელევიზიების დიდი მცდელობისა, რომ ლევან გაჩეჩილაძე ჩვენთან ერთად მონაწილეობდა მთელ ამ პროცესში, როგორც პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და თავკაცი, ისე, როგორც დანარჩენი ლიდერები ვიყავით. კოკა გუნცაძე იქ არ ყოფილა იმის გამო, რომ ის არის გენერალური მდივანი, რომელსაც, ამავე დროს, უამრავი სხვა დავალება აქვს და ემზადება ამ დავალებებისთვის. რამდენი შეიძლება ილაპარაკონ ლევანის წასვლაზე, როცა ლევანი იქ არის? ეს ცოტა აბსურდია, მე მგონი.

***— შეიძლება ითქვას, რომ ქართული პარტია უკვე გადავიდა სერიოზულ ქმედებებზე?***

— ქართული პარტია გადავიდა მომდევნო ეტაპზე. მესამე ეტაპი, ალბათ, დაიწყება მაშინ, როცა ჩავატარებთ პარტიის ყრილობას და ამ პარტიის ყრილობაზე გამოცხადდება კონკრეტული გეგმა, რას ვაპირებთ, როგორ ვაპირებთ და რა არის ჩვენი შემდეგი სამოქმედო გეგმა. აი, ამის ლეგიტიმაცია უნდა მისცეს პარტიის ყრილობამ და ესეც ბევრჯერ მაქვს ნათქვამი, რომ ეს მოხდება პარტიის ყრილობაზე, რაღაცა სპეკულაციები რომ არ მოჰყვეს ამ ყრილობის თემას.

***— როდის გაიმართება ქართული პარტიის ყრილობა?***

— ყრილობის ზუსტი თარიღი ჯერ დადგენილი არ არის, თუმცა, ადრეც ძალიან ხშირად ვამბობდი, რომ, სავარაუდოდ, ეს მოხდება მაისში და ახლაც დაახლოებით ასე ვფიქრობთ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ადვოკატები ზეწოლაზე საუბრობენ

ნანა მიშელაშვილი

**საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატებს“ ადვოკატებმა საკუთარი პრობლემები და საქართველოში არსებული მდგომარეობა გააცნეს.**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ზაზა ხატიაშვილის განცხადებით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან 111 ადვოკატია დაჭერილი. ხატიაშვილის განცხადებით, კომუნისტური რეჟიმის დროსაც კი არ დაუჭერიათ იმდენი ადვოკატი, რამდენიც სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. მისივე თქმით, საბჭოთა კავშირის არსებობის დროს მხოლოდ 80 ადვოკატის დაკავება მოხდა, მაშინ, როცა დღევანდელმა ხელისუფლებამ უკვე 111 ადვოკატი დააკავა.

ზაზა ხატიაშვილმა ადვოკატთა დაკავების კონკრეტული გახმაურებული ფაქტები მოიყვანა, კერძოდ, ვლადიმერ ტაბაღუას, მარიამ იველაშვილის, ნათია სირაძის და სხვების.

ქრისტიან-დემოკრატებთან შეხვედრაზე ადვოკატებმა საპროცესო გარიგებებზეც ისაუბრეს. ადვოკატ სოსო ბარათაშვილის შეფასებით, საპროცესო გარიგებებმა ქართული მართლმსაჯულება დაამახინჯეს და შედეგად, დღეს ქვეყნის ყველაზე სუსტი რგოლი სასამართლოა.

ბარათაშვილის თქმით, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კონკრეტულ საპროცესო გარიგებაზე გადაწყვეტილებას არა საქმეში მონაწილე პროკურორი, არამედ „ვიღაც სადღაც კაბინეტში“ იღებს და პროკურორიც ამ გადაწყვეტილებას ახმოვანებს.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა კი აღნიშნა, რომ ციხეებში პატიმრების გარდაცვალება და განსაკუთრებით ასეთი ფაქტების გლდანის მე-8 საპატიმროში გახშირება, ერთგვარი დაშინებაა პატიმრებისთვის, რათა იძულებულნი იყვნენ საპროცესო გარიგებაზე წავიდნენ.

ხატიაშვილმა აღნიშნა, რომ თუ ადრე საქმეზე ფულს ქურდი ითხოვდა, ახლა იგივე და გაცილებით მეტ ფულს პროკურატურა ითხოვს. ხატიაშვილმა ისიც თქვა, რომ პროკურორმა ისიც კი იცის, ადამიანს სამარშრუტო ხაზი რომ აქვს, რამდენი აქვს შემოსავალი მას ან მის ნათესავს, რომ შემდეგ საპროცესო შეთანხმებისას ეს გარემოება გათვალისწინებულ იქნეს.

ოპოზიციურ ფრაქციასთან შეხვედრაზე ადვოკატებმა კონკრეტული წინადადებები წამოაყენეს. კერძოდ, ადვოკატთა ასოციაცია საპატიმროებში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით დამოუკიდებელი კომისიების შექმნას ითხოვს. ამ ინიციატივაზე ადვოკატმა ქეთი ბექაურმა ისაუბრა.



ქეთი ბექაურის თქმით, საპატიმროებში პატიმართა მიმართ ძალადობის ფაქტებზე საქმე მხოლოდ უფლებამოსილების გადამეტების მუხლით აღიძვრება და ხშირად ან არავინ ისჯება, ან საქმე ჩერდება.

ადვოკატებს წარმოუდგენლად მიაჩნიათ, რომ საქმეს იძიებდეს უწყება, რომელიც შედეგით დაინტერესებულია, რადგან საკითხი საკუთარ თანამშრომლებს ეხება.

ქეთი ბექაურის აზრით, მიუხედავად კანონმდებლობაში წამებასთან, ძალადობასთან, პატივისა და ღირსების შელახვასთან დაკავშირებული ნორმების არსებობისა, პატიმრების მიმართ ძალადობის ფაქტებზე საქმეები მხოლოდ უფლებამოსილების გადამეტების მუხლით აღიძვრება.

ქეთი ბექაური მუდმოვმოქმედი, დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიის და ასევე დამოუკიდებელი მონიტორინგის საბჭოს შექმნას ითხოვს, რომელიც რეალურ სურათს შექმნის. მისივე შეფასებით, კომისიების შექმნა ქვეყანას „ჰაერივით სჭირდება“.

კომისიების შექმნასთან დაკავშირებული საკითხი დადგენილების იმ პროექტში აისახება, რომელიც სახალხო დამცველის ანგარიშთან დაკავშირებით მზადდება. ამ პროექტს ქრისტიან-დემოკრატები ამზადებენ.

ზოგადად, პარლამენტს გარეთ დროებითი კომისიის შექმნას დეპუტატების თანხმობა არ სჭირდება, რაც შეეხება პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას, ეს ცოტა რთულად მისაღწევია.

საპარლამენტო ოპოზიციის მოთხოვნის მიუხედავად, უმრავლესობას ამ პარლამენტში არც ერთი საგამოძიებო კომისია არ შეუქმნია.

ქრისტიან-დემოკრატებთან გამართულ შეხვედრაზე ძალოვანი უწყებების მხრიდან ადვოკატებზე ზეწოლის ფაქტებზეც იყო საუბარი. ადვოკატი მანანა კობახიძის თქმით, ადვოკატები, რომლებიც უკანონო ფაქტებზე საუბრობენ და უარს არ ამბობენ დაცვაზე, პოლიტიკურად ანგაჟირებულებად აღიქმებიან.

კობახიძემ აღნიშნა, რომ მოსამართლეები პროკურორების გავლენის ქვეშ არიან და „მანტიის ქვეშ კანკალებენ“. მანანა კობახიძემ ერთ-ერთი სასამართლო პროცესი გაიხსენა, რომელზეც მოსამართლემ ადვოკატის 20 კითხვა დატოვა უპასუხოდ.

— ამიტომ, იძულებულნი ვართ შიდა ინსტანციები მხოლოდ ფორმალურობის გამო ამოვწუროთ და შემდეგ ევროსასამართლოს მივმართოთ, — განაცხადა კობახიძემ.

ადვოკატმა კობახიძემ ნარკოტრანზიტთან დაკავშირებულ ცნობილ საქმეზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქმეში ჩაიდო ექსპერტის დასკვნა, რომელიც ქიმიკოსიც არ არის და უბრალოდ აგრონომია, თუმცა, ვერავინ ამბობს, რატომ ავალებენ მას ექსპერტიზას. აღნიშნული საკითხის შესახებ მანანა კობახიძემ ტომას ჰამერბერგს აცნობა.

ზაზა ხატიაშვილმა რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირის ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე არშეშვებაზეც ისაუბრა. ადვოკატთა ასოციაცია საქართველოს პრეზიდენტისა და რამდენიმე უწყებების ხელმძღვანელის პერსონა ნონგრატად გამოცხადებას ითხოვს. ამის თაობაზე ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა კიდევ ერთი განაცხადება გააკეთა. — ჩვენ მივმართეთ ევროკავშირს, რომ პერსონა ნონგრატად გამოაცხადონ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი, იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე, — აღნიშნა ხატიაშვილმა.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის თქმით, ევროკავშირისგან ითხოვენ, რომ აღნიშნულ პირებს ევროკავშირში შემავალ ქვეყნებში შესვლა ისევე აკრძალოთ, როგორც ეს ბელორუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს შემთხვევაში მოხდა.

ზაზა ხატიაშვილის თქმით, აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი ადვოკატთა ასოციაციის წევრების დიდმა უმრავლესობამ დაუჭირა, წინააღმდეგ მხოლოდ ორი ადვოკატი წავიდა, ოცმა კი თავი შეიკავა.

ადვოკატებმა კიდევ ერთ ფაქტს გაუსვეს ხაზი. ისინი სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლების მხრიდან ადვოკატების მიმართ არასათანადო და ხშირ შემთხვევაში დამამცირებელ მოპყრობაზე საუბრობენ.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ზაზა ხატიაშვილის განაცხადებით, ადვოკატებს, რომლებიც საპყრობილეში მსჯავრდებულის მოსანახულებლად შედიან, ჩხრეკის დროს ამცირებენ, ხოლო ქალ ადვოკატებს უხამსად ექცევიან და თან დასცინიან. — სასამართლო პროცესზე მოსამართლემ ადვოკატი მანანა კობახიძე ღიმილის გამო დააჯარიმა, ხოლო როდესაც შალვა ხაჭაპურიძეს თავს დაესხნენ და სცემეს, მას ექსპერტიზის ჩატარებაზე უარი უთხრეს, მიზეზად კი ის დასახელეს, რომ შალვა ხაჭაპურიძეა და ღირსია, — აღნიშნა ზაზა ხატიაშვილმა.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ხათუნა კალმახელიძის მიერ 2010 წელს გამოცემული ბრძანების გაუქმებაც მოითხოვა. ამ ბრძანებულების მიხედვით, ადვოკატს ციხეში შესვლის დროს მხოლოდ ერთი პირის მონახულება შეუძლია, ხოლო დაცვის ქვეშ მყოფი მეორე პირის მოსანახულებლად, ადვოკატი უკან უნდა გამოვიდეს და შესასვლელად ახალი განცხადება დაწეროს.

— მინისტრ კალმახელიძის ბრძანების გამო, ადვოკატებს დღეში რამდენჯერმე უწევთ დამამცირებელი ჩხრეკის პროცედურის გავლა, — აცხადებს ზაზა ხატიაშვილი.

ქრისტიან-დემოკრატები ადვოკატების პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხზე სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვის დროსაც ისაუბრებენ.

# ომბუდსმენის ანგარიშის მოსმენა გადაიდო

ნანა მიშელაშვილი

გიორგი ტუღუშის ანგარიშს ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტი სავარაუდოდ 23 მაისს განიხილავს. არადა, აქამდე ცნობილი იყო, რომ სახალხო დამცველს კომიტეტში 10 მაისს მოუსმენდნენ.



საპარლამენტო ოპოზიცია უკვე სამი კვირაა არკვევს, როდის მოხდება ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში ომბუდსმენის საკმაოდ სქელტანიანი ანგარიშის განხილვა. გასულ კვირას სავარაუდო თარიღიც გაირკა, თუმცა ეს თარიღი შეიცვალა.

სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვის საკითხით პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დავით ბაქრაძე დაინტერესდა. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდიას განცხადებით, ანგარიში სახალხო დამცველის საქართველოში დაბრუნებისთანავე განიხილება. სავარაუდო თარიღად ლაშა თორდიამ 23 მაისი დაასახელა. — სასურველი იქნებოდა ცოტა ადრე გამართულიყო კომიტეტის სხდომა, — განაცხადა ბაქრაძემ და იქვე დაამატა, რომ გიორგი ტუღუშის გარეშე ასეთი განხილვა შეუძლებელია.

— კარგია, რომ რიცხვი დადგინდა, ბიუროს წინა სხდომაზე ითქვა, რომ 10 მაისისთვის აპირებდნენ კომიტეტის სხდომის ჩატარებას, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერის ამ განცხადებამ ლაშა თორდია გააღიზიანა. — ბიუროს სამი სხდომაა, რაც ამ საკითხის პოლიტიზირებას ახდენთ, სახალხო დამცველთან ინტენსიური კონსულტაციები გავიარეთ, მას საქართველოს ფარგლებს გარეთ აქვს შეხვედრები და როგორც კი დაბრუნდება, ანგარიშს განვიხილავთ. ამ საკითხის პოლიტიზირებისგან თავი შეიკავეთ, — მიმართა ლაშა თორდიამ ლევან ვეფხვაძეს.

— დაველოდოთ 23 რიცხვს, ჩაატარეთ შემაჯამებელი სხდომა, — უთხრა ბაქრაძემ დეპუტატებს.

სახალხო დამცველის ანგარიში 2010 წელს ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ პარლამენტში განსახილველად თვეზე მეტია, რაც შესულია.

გიორგი ტუღუშს სხვადასხვა უწყების მისამართით 308 რეკომენდაცია აქვს. ომბუდსმენის ანგარიში კი 523 გვერდიანია.

გიორგი ტუღუშის ანგარიშის განხილვა პარლამენტში ხმაურის გარეშე არ ჩაივლის. ქრისტიან-დემოკრატები ზოგიერთი თანამდებობის პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზეც საუბრობენ.

თავად სახალხო დამცველი პენიტენციალურ სისტემაში არსებული მდგომარეობის გარდა, უამრავ სხვა საკითხზე ისაუბრებს. გიორგი ტუღუში ურჩ უწყებებზეც ისაუბებს, რომლებიც ომბუდსმენის აპარატთან არ თანამშრომლობენ.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომის შემდეგ გიორგი ტუღუში დეპუტატების წინაშე სესიაზე წარდგება.

ვიცე-სპიკერმა ლევან ვეფხვაძემ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს ქვეყანაში ადვოკატთა მდგომარეობის გაცნობაც ურჩია. ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ლევან ვეფხვაძემ ლაშა თორდიას ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის დეკემბრის მისიის ანგარიში გადასცა.

ლევან ვეფხვაძის თქმით, ანგარიში საკმაოდ კრიტიკულია და აღნიშნულია, თუ რა ვითარებაში უწევთ ადვოკატებს მუშაობა. ვეფხვაძის განცხადებით, კარგი იქნება თუ კომიტეტი ამ დასკვნას სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვამდე გაეცნობა. ვიცე-სპიკერმა დასკვნის გაცნობა და ამ საკითხით დაინტერესება იურიდიულ საკითხთა კომიტეტსაც სთხოვა. ამ საკითხზე არც ერთი კომიტეტის თავმჯდომარეს ან მოადგილეს გუშინ განცხადება არ გაუკეთებია.

## ლეიბორისტები მეთიუ ბრაიზას ცილისწამებაში ადანაშაულებენ

ლეიბორისტული პარტია ამერიკის ელჩს აზერბაიჯანში მეთიუ ბრაიზას ცილისწამებაში ადანაშაულებს.

როგორც გუშინ პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახაბერ ძაგანიამ განაცხადა, მეთიუ ბრაიზამ ცოტა ხნის წინ გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ლეიბორისტული პარტია რუსეთიდან იმართება.

ძაგანიას თქმით, ბრაიზას განრისხება იმან გამოიწვია რომ ლეიბორისტებმა ის აზერბაიჯანში სახელმწიფო გადატრიალების მზადებაში ამხილეს.

— ჩემმა თანაპარტიელმა იოსებ შატბერაშვილმა საქართველოში მეთიუ ბრაიზას ბოლო ვიზიტის შემდეგ განაცხადა, რომ აშშ-ში მაკკეინის ჯგუფი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიას დახმარებით აზერბაიჯანში „ფერად გადატრიალებას“ გეგმავს. ამის შემდეგ ბრაიზამ განაცხადა, რომ იმ ქვეყანაში, რომელშიც ის მოღვაწეობდა, ერთ-ერთი პარტია რუსეთის მიერ იმართება, — განაცხადა ძაგანიამ და დასძინა რომ მეთიუ ბრაიზამ შალვა ნათელაშვილი და მისი პარტია 2005 წელს საქართველოში მოღვაწეობისასაც მკაცრად გააკრიტიკა.

ლეიბორისტული პარტია კითხვით მიმართავს შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს, „ეს ბატონი ბრაიზას აზრია, თუ იგი ამერიკის ოფიციალური პოზიციას გამოხატავს?“.

— იმედია კომპეტენტური არხებით, ამ ლოგიკური კითხვაზე ლოგიკური პასუხს უახლოეს ხანში მივიღებთ, — აღნიშნა ძაგანიამ.

**მედიანიუსი**

## წამებით დახოცილი პატიმრების შვილებისთვის საქველმოქმედო აქცია გაიმართება

წინააღმდეგობის მოძრაობა ტუბერკულოზით დაავადებული და წამებით მოკლული მსჯავრდებულების შვილების დასახმარებლად საქველმოქმედო აქციას გამართავს. ღონისძიება 11 და 12 მაისს, ფილარმონიაში გაიმართება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მოძრაობის წარმომადგენელმა ირმა ინაშვილმა განუცხადა, ორდღიან თავყრილობაში მონაწილეობას საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები მიიღებენ.

— საქველმოქმედო ღონისძიებას გაუძღვებიან მსახიობი ნანა შონია და ზურაბ მანჯავიძე. ასევე, აქციაზე გამოვლენ ანსამბლი „ფორტე“, „თბილისი“, ჯემალ სეფიაშვილი, ზურა დოიჯაშვილი. ხალხური შემოქმედების ანსამბლები თავად გამოგვეხმაურნენ, ასევე, ლელიკო ჯაფარიძე „დაისიდან“ ფრაგმენტს შეასრულებს. წამებით მოკლული პატიმრების შვილებიც მოვიწვიეთ, მაგრამ ეს ბავშვები 11 მაისის თავყრილობას არ დაესწრებიან, რადგან ბევრი რამ ითქმება ციხეებში წამების შესახებ და არ გვინდა მათი ემოცია დავამძიმოთ — ისინი ღონისძიებას 12 მაისს დაესწრებიან და შემოწირულობებიც გადაეცემათ, — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

საქველმოქმედო ღონისძიებაზე მომღერლები სიმღერას „შენს გისოსებში მზეა“ შეასრულებენ, რომელიც 2007 წელს ირმა ინაშვილმა დაწერა და იმ დროისათვის პატიმარ ირაკლი ბათიაშვილს მიეძღვნა. სიმღერის დაწერიდან სამ თვეში ბათიაშვილი გაათავისუფლეს. ავტორის განმარტებით, ეს სიმღერა ყველა პატიმარს და თავისუფლებისმოყვარე ადამიანს ეძღვნება. ღონისძიება ამ სიმღერაზე გადაღებული კლიპის პრეზენტაციაც გაიმართება.

მისივე თქმით, 11 მაისს წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები ბოლო 7 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა დარღვევის კონკრეტულ ფაქტებზე ისაუბრებენ. ნაჩვენები იქნება ვიდეოკოლაჟები, ფრაგმენტები სხვადასხვა გადაცემიდან, სიუჟეტიდან.

— ძირითადი მიმართულება ხელისუფლების მიერ საზოგადოებისთის წართმეული სამოქალაქო უფლებების დაბრუნება იქნება. წინააღმდეგობის მოძრაობა კონკრეტულ სამოქმედო გეგმასაც წარადგენს, ასევე, მოძრაობის ლიდერი დავით თარხან-მოურავი ძალიან სერიოზული განცხადებას გააკეთებს, თუმცა ამას ხვალამდე ვერ გავახმოვანებ, — აღნიშნა ინაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## ვაუჩერიზაციის პროცესი დასრულდა

საქართველოში ვაუჩერიზაციის პროცესი დასრულდა.

როგორც გუშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ანდრია ურუშაძემ განაცხადა, წარმატებით დასრულდა პროცესი, რომელიც ითვალისწინებდა მოსახლეობისთვის, როგორც ელექტროენერგიის, ისე სურსათის ვაუჩერების დარიგებას. ელექტროენერგიისა და სურსათის ვაუჩერები 1 მილიონამდე ოჯახმა მიიღო.

— წარმატებით განხორციელდა პროექტი, რომელიც წარმოადგენდა ჩვენი მოქალაქეების მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან მხარდაჭერას იმ პირობებში, როცა სურსათის ფასები გაზრდილია, — განაცხადა მინისტრმა და დასძინა, რომ ვაუჩერიზაციის პროცესში დაფიქსირდა გარკვეული პრობლემებიც, თუმცა ყველა იმ მოქალაქის განცხადება, რომელთაც ვაუჩერების მიღების თაობაზე პრობლემები შეექმნა, განხილულ იქნება.

როგორც ურუშაძემ განმარტა, სოციალური მომსახურების სააგენტოში დაახლოებით ათასამდე ადამიანის განაცხადია შესული, ამიტომ სამინისტრო მიმართავს ყველა მოქალაქეს, რომელსაც ვაუჩერების მიღებისას პრობლემები შეექმნა, სააგენტოს 20 მაისამდე მიმართოს.

ცნობისთვის, მთავრობისგან მოსახლეობამ ჯამში 50-ლარიანი - 20-ლარიანი ელექტროენერგიისა და 30-ლარიანი სურსათის ვაუჩერები მიიღო.

**მედიანიუსი**

# საინგილოში ქართველ სასულიერო პირებს ავიწროებენ

## ეპისკოპოსი მელქისედეკი ხელისუფლებისგან ყურადღებას ითხოვს

თეა მარხვაი ე

**საინგილოში მცხოვრები ქართველები მძიმე დღეში რომ არიან, ყველამ ვიცით. მათ აზერბაიჯანის ხელისუფლება ხშირად უქმნის პრობლემებს. ვიცით ისიც, რომ განსაკუთრებული პრობლემები იქ მყოფ სასულიერო პირებს ექმნებათ.**

ქურმუხის წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ეკლესიის კარი რომ აჭედეს, ჩვენს ხელისუფლებას ესეც კარგად მოეხსენება. ჩვენებურებს კიდევ ბევრი რამე მოეხსენებათ, მაგრამ ხმას არ იღებენ.

არავინ იცის, რატომ დუმს ჩვენი ხელისუფლება, რომელმაც საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების უფლებების დაცვისათვის სამინისტრო და საპარლამენტო კომიტეტიც კი შექმნა.

თუ მათ ნამოღვაწარს შევხედავთ, ვნახავთ, რომ კომიტეტის მთავარი ფუნქცია ოპოზიციის ლანძღვაა. ნუგზარ წიკლაურის განცხადებებს თუ დავაკვირდებით, მისთვის ჩერქეზების გენოციდი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქართველების პრობლემები.

ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ მან არ იცოდეს, რა ხდება დღეს საინგილოში. იმ შემთხვევაში, თუ მან ეს არ იცის, მაშინ რა უნდა ამ კომიტეტის თავმჯდომარედ, ან რა საჭიროა ასეთი კომიტეტის არსებობა. თუ ჩერქეზების გენოციდისთვის უნდოდათ ეს კომიტეტი, პირდაპირ ასე დაერქმიათ.

ჩერქეზებს და წიკლაურს თავი დავანებოთ და საინგილოში შექმნილ ვითარებას მივხედოთ. აქ არსებული სიტუაციის შესახებ ბევრჯერ დაიწერა. ცოტა ხნის წინ ამ მხარეს კახეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტები სტუმრობდნენ. ისინი კახის რაიონს გიორგობისთვის ესტუმრნენ.

აზერბაიჯანის ხელისუფლებამ პატივი დაგვდო და გიორგობისთვის წმინდა გიორგის ეკლესიის კარი გახსნა. 2007 წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის კარი აჭედა.

ამ ფაქტს მაშინ დიდი რეზონანსი მოჰყვა. თავი ძირითადად ოპოზიციამ და საზოგადოებამ გაინერვიულა. ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, დუმდა. მერე საქმეში ჩართვა მაინც იკადრეს და აზერბაიჯანის ხელისუფლებამაც პატივი დაგვდო. ახლა ამ ტაძრის კარი წელიწადში ორჯერ იღება მხოლოდ.

გიორგობისთვის კახეთის საინფორმაციო ცენტრის კორესპონდენტი საინგილოში, კახის რაიონში იმყოფებოდა. მას ადგილობრივმა მოსახლეობამ ძალიან საინტერესო ინფორმაციები მიაწოდეს.

როგორც ადგილობრივები ყვებიან, 25 აპრილს, მიცვალებულთა მოხსენიების დღეს, კახის წმინდა გიორგის ეკლესიის მოძღვარი, მამა ბასილი, ადგილობრივი უშიშროების განყოფილების თანამშრომლებმა საფლავებზე არ გაუშვეს და პარაკლისის გადახდის საშუალება არ მისცეს. კახის მცხოვრებლების თქმით, წმინდა გიორგის ეკლესია გარედან ნახევრად არის გათეთრებული. უშიშროების თანამშრომლებმა მორჩილები ხარაჩოებიდან ჩამოყარეს.

— სხვა მღვდლებმა ვერ გაუძლეს ასეთ ზეწოლას და აქედან წავიდნენ. მამა ბასილი იბრძვის. კანონები არ არსებობს საერთოდ, უშიშროება, დაშინება, დამუქრება, ეს არის აზერბაიჯანელების მეთოდი. საბავშვო ბაღის ერთ-ერთი მასწავლებელი ეკლესიაში დადის და ეუბნებიან, რატომ დადიხარ, ბოლომდე აქ უნდა



იყოო და ა.შ. სამსახურის დაკარგვით ემუქრებიან. მე სამსახური უკვე დაკარგული მაქვს, თვითონ წამოვედი, — აღნიშნა სოფელ ალიბეგლოს მკვიდრმა კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში.

გასაგები მიზეზების გამო მან საკუთარი ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა.

— მოძღვარი პარასკევს მოდიოდა ხოლმე ალიბეგლოს ეკლესიაში და პარაკლისს იხდიდა, მაგრამ დაუშალეს. ამ ეკლესიის მღვდელი არ ხარ და უფლება არ გაქვსო. რამდენი ხანია ალიბეგლოს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში პარაკლისებს ველარ იხდის. მამაოს ძალიან ემუქრებიან და ავიწროებენ, შეურაცხყოფას აყენებენ. აიძულებენ, რომ აქედან წავიდეს. მაგალითად, აღდგომის მეორე დღეს საფლავების კურთხევა აუკრძალეს, — აღნიშნა ალიბეგლოს მკვიდრმა თ. ბ-შვილმა.

როგორც ირკვევა, უშიშროების თანამშრომლები სასულიერო პირებს ეკლესიის ეზოში ყვავილების დათესვასაც კი უკრძალავენ.

— კახის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში მოძღვრის კურთხევით ყვავილები დარგეს, მაგრამ უშიშროების თანამშრომლებმა დააგლეჯინეს. ეკლესია ნახევრად არის გარედან გათეთრებული. მორჩილები ხარაჩოებიდან ჩამოყარეს და სამუშაოების დამთავრების უფლება არ მისცეს, — უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს კახის ერთ-ერთმა მცხოვრებმა.

ადგილობრივები ჟურნალისტებთან საუბარში საქართველოდან ჩასულ ორ კაცზეც საუბრობენ, რომელთა ფუნქცია, როგორც ჩანს, მამა ბასილის თვალთვალია.

— საქართველოდან ხშირად ჩამოდის ხოლმე ორი კაცი, რომლებიც არაფერს არ წარმოადგენენ, მაგრამ სულ მამაოს დასდევენ, საღამოობით კი კახის რაიონის უშიშროების წარმომადგენლებთან ერთად ქეიფობენ. მოძღვარს მარტო არსად წასვლის საშუალებას არ აძლევენ. ყველგან თან დასდევენ, გვითვალთვალებენ და ისმენენ, ეკლესიაში ვინ რაზე ვლაპარაკობთ. მერე, რასაც მამაოს შევჩივლებთ ხოლმე, იმ ამბებზე უშიშროების თანამშრომლები მოდიან სახლში და გვემუქრებიან, — ამბობს კახის კიდევ ერთი მცხოვრები ქალბატონი.

მეორე ქალბატონი კი იმას იხსენებს, როგორ გადააქციეს ქართული ეკლესია ჯერ საწყობად, შემდეგ ეთნოგრაფიულ მუზეუმად.

— კახში ერთი მოქმედი ეკლესიაა. ქურმუხი დაკეტილი აქვთ. მეორე ეკლესია ნახეთ? ალავერდის სახელობისაა. ჩემს ბავშვობაში მანდ კოლმეურნეობის საწყობი იყო ხორბლისთვის, მამაჩემს დავყავდი და ტომრებში ვყრიდით. იცით, რა ლამაზი ფრესკები იყო? ახლა აღარ არის. ჯერ ეთნოგრაფიული მუზეუმი გახსნეს, თავიანთი რალაცეები გამოფინეს. მერე ცოტა გაფიცვასავით, მიტინგივით ჩავატარეთ და მუზეუმი გვერდით, სხვა შენობაში გადაიტანეს, მაგრამ ეკლესია მაინც დაკეტილია. გარედან გადაღების უფლებაც არავის აქვს. მაგაზე ხალხი დაიჭირეს, — აღნიშნავს ალიბეგლოში მცხოვრები ქალბატონი.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, საინგილოში მცხოვრები ქართველები, რომლებმაც ამ დრომდე შეინარჩუნეს სარწმუნოება, ამბობენ, რომ საქართველოს ხელისუფლებიდან ყურადღებას საერთოდ ვერ გრძნობენ.

კახის წმინდა გიორგის ეკლესიის მოძღვარი, მამა ბასილი ზეწოლის ფაქტებზე კომენტარს არ აკეთებს.

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი მელქისედეკი ამბობს, რომ რაც საინგილოში ხდება, ძალიან ცუდია.

— მრევლი შემცირებულია. მე ძმობა ცალმხრივი არ ვიცი. მოვუწოდებ ქართულ მხარეს, საქართველოს ხელისუფლებას, რომ აქ მცხოვრებ ქართველებს, რომლებიც წინააღმდეგობის მიუხედავად ინარჩუნებენ ქართულ ტრადიციებს, კულტურას, ენას და სარწმუნოებას, ყურადღება მიაქციოს, — აღნიშნა ეპისკოპოსმა.

ჩვენს ხელისუფლებას ამისთვის არ სცალია. მათ ბევრად მნიშვნელოვანი საქმეები აქვთ მოსაგვარებელი.

საინგილოში ქართული ეკლესიების დაცვას ვინ ჩივის, ლამისაა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი აზერბაიჯანს გადასცეს.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ საქართველოს აზერბაიჯანთან სადავო საზღვარი აქვს. ამ სადავო მონაკვეთშია მოქცეული დავით გარეჯის სამონასტრო კომპელქსიც.

ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ხელისუფლება აპირებს სამონასტრო კომპლექსი აზერბაიჯანს გადასცეს. ამასთან დაკავშირებით ჩვენს ხელისუფლებას არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია.

სამაგიეროდ კულტურული მემკვიდრეობის ფონდის თავკაცი სასულიერო პირების წინააღმდეგ ითხოვდა საქმის აღძვრას. ის ბერებს აბრალებდა სამონასტრო კომპლექსის დაზიანებას. იმ ბერებზეა საუბარი, რომლებიც უდიდესი რისკის ფასად იცავენ მონასტერს ხილული თუ უხილავი, შინაური თუ გარეული მტრებისაგან.

საინტერესოა, იგივე ეს ადამიანი რატომ არაფერს ამბობს საინგილოში არსებულ ქართულ მონასტრებზე, ან რატომ დუმს ჩერქეზების ბედით ჭმუნვაში მყოფი წიკლაური.

# ცხინვალში შეიძლება საპრეზიდენტო არჩევნები არ ჩატარდეს

თეა მარხვაი ე

**წესით და რიგით, ცხინვალში საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის ნოემბერში უნდა ჩატარდეს. თუმცა, როგორც „ეხო კავკაზა" იუწყება, შესაძლოა, ეს არჩევნები არ ჩატარდეს.**

„ეხო კავკაზას“ ცნობით, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას გააჩნია საიდუმლო გეგმა, რომლის განხორციელების შემთხვევაში სანოემბრო არჩევნები გაცილებით გვიან ჩატარდება. არჩევნების გადატანით კოკოითის კლანი ძალაუფლების შენარჩუნებას გეგმავს.

ამ საიდუმლო გეგმის შესახებ „ეხო კავკაზს“ ინფორმაცია სამხრეთ ოსეთის პარლამენტის წევრმა მიაწოდა, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელისაგან თავი შეიკავა.

დეპუტატის ცნობით, არჩევნების გადასატანად ერთ-ერთი გეგმა სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს იბრაგიმ გასიევს მოუფიქრებია. მისი თქმით, უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი, რომელზეც კოკოითისთვის უფლებამოსილების გაგრძელების საკითხი დადგება.

ეს იდეა თურმე ბევრ გენერალს არ მოსწონებია. განსაკუთრებით ის სამხედროები აღშფოთდნენ, რომლებსაც რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაავალეს.

ოსი დეპუტატის თქმით, ეს სამხედროები ადგილობრივ მოსახლეობას ძალიან შავ დღეში ჩაუგდია. კოკოითის საქმიანობის გამო სამხედროებს თურმე კრიტიკის წვიმა დასტყდომიათ თავს.

არსებულ რეჟიმთან შეგუებას არ აპირებს ადგილობრივი ოპოზიცია, რომლებიც უსაფრთხოების მიზნით იძულებული არიან ცხინვალი დატოვონ. როგორც რადიოსადგურთან „ეხო კავკაზა“ საუბარში მოძრაობა „სამართლიანი არჩევნებისთვის“ წარმომადგენელმა ალან თედეევმა განაცხადა, ისინი საპროტესტო აქციებს გამართავენ.

მიტინგები, როგორც რადიოსადგური იტყობინება, ჯერჯერობით მხოლოდ ვლადიკავკაზში ჩატარდება.

— ჩვენ ძალიან ბევრ წერილს ვიღებთ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისგან. გვეხმიანებიან იქედან წასული ადამიანებიც, რომლებიც დღეს რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობენ. მათი განწყობით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი მიტინგები მრავალრიცხოვანი იქნება, — ამბობს ოსი ოპოზიციონერი.

ალან თედეევის თქმით, ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ სამხრეთ ოსეთში დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს.

— დღეს სამხრეთ ოსეთში მყარდება ტოტალიტარული რეჟიმი. კოკოითი უნდა იყოს კონსტიტუციის გარანტი. ის სისტემატიურად არღვევს კონსტიტუციას. ჩვენი მთავარი მოთხოვნა სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაა, — ამბობს ალან თედეევი.

კოკოითის ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა ორი მეთოდით მოხდება. სამართლიანი არჩევნებისთვის მებრძოლი ოსები სასამართლოებშიც აპირებენ ჩივილს. ამის გარდა ისინი რუსეთის ხელისუფლებასთანაც გეგმავენ შეხვედრას.

ალან თედეევის განცხადებით, რუსეთის ხელისუფლება კოკოითის მესამე ვადით გაპრეზიდენტებას თურმე ეწინააღმდეგება. ოპოზიციონერის მტკიცებით, რუსეთში სცოდნიათ, რომ კოკოითის ზრახვები შიდა პოლიტიკურ დაძაბულობას უწყობს ხელს.

რეფერენდუმთან დაკავშირებით კოკოითის გარემოცვა ჯერ არანაირ კომენტარს არ აკეთებს. არადა, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა კოკოითისთვის უფლებამოსილების გასაგრძელებლად რეფერენდუმი მოითხოვეს.

ამ ინიციატივით რამდენიმე წლის წინ უხუცესები გამოვიდნენ. ისინი კოკოითისაც კი შეხვდნენ. მაშინ კოკოითიმ რეფერენდუმზე უარი თქვა. ახლა კი თურმე თავად სდომნია რეფერენდუმი.

ამავე დროს ის ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ მესამე ვადით კენჭს აღარ იყრის.

— სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციაში წერია, რომ ერთი და იგივე პიროვნება მესამე ვადით ველარ იყრის კენჭს პრეზიდენტის პოსტზე. მე არ ვაპირებ კონსტიტუციის დარღვევას, — ასეთი იყო მაშინ მისი პოზიცია.

# თბილისში ოჯახური კონფლიქტი მსხვერპლით დასრულდა

თბილისში, ლოტკინის დასახლებაში, ზაქარაიას ქუჩაზე გუშინ დილით ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე 22 წლის თენგო გოგრიჭიანმა ცივი იარაღით ჯერ საკუთარი დედა, 50 წლის ქეთი გოგრიჭიანი მოკლა, შემდეგ ძმა 19 წლის რევაზ გოგრიჭიანი მძიმედ დაჭრა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

დაჭრილი 19 წლის რევაზ გოგრიჭიანი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკაში გადაიყვანა, სადაც მას გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდა.

ნათესავების განმარტებით, 22 წლის თენგო გოგრიჭიანი კონფლიქტური არ იყო და მას ოჯახში პრობლემები არასდროს ჰქონია.

**მედიანიუსი**

# ეროვნულმა საბჭომ რუსეთთან ურთიერთობაში ევროკავშირის როლის გაძლიერებაზე იმსჯელა

ეროვნული საბჭოს ლიდერებმა ექსპერტებთან ერთად რუსეთთან ურთიერთობაში ევროკავშირის როლის გაძლიერებაზე იმსჯელეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ეროვნული საბჭოს ერთ-ერთმა ლიდერმა კობა დავითაშვილმა განუცხადა, სამეზობლო პოლიტიკის პროექტი შემუშავებულია მათი წარმომადგენლის ბიძინა გიორგობიანის მიერ და ითვალისწინებს რუსეთთან ურთიერთობაში ევროკავშირის როლის გაძლიერებას.

**ინტერპრესნიუსი**

# მოსკოვს მსო-ში გასაწევრიანებლად ვაშინგტონის მხარდაჭერის იმედი აქვს

რადიო „თავისუფლება“ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ სტატიას აქვეყნებს და ამ საკითხს რუსეთ-საქართველოს შორის მოლაპარაკების ჭრილში განიხილავს.

სტატიის ავტორის, ანალიტიკოს რობერტ კოულსონის შეფასებით, შესაძლოა რუსეთის მსო-ში გაწევრიანების 17 წლიან მოლოდინს ბოლო მოეღოს და წლის ბოლოს რუსეთი აღნიშნული ორგანიზაციის წევრი გახდეს.

— რუსეთი, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ეკონომიკის ქვეყანა, მსო-ში შესაძლო გაწევრიანებას 2009 წელს აშშ-სა და რუსეთს შორის დაწყებულ „გადატვირთვის“ მთავარ მიღწევად აფასებს. თუმცა, ოფიციალური თბილისის დაჟინება, გააკონტროლოს ვაჭრობა რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს, რუსეთსა და აფხაზეთს შორის რუსეთისთვის ხელისშემშლელ ფაქტად რჩება. თბილისი მხარს უჭერს მსო-ს იმ მუხლს, რომლის თანახმადაც, ორგანიზაციის წევრი ქვეყნები საკუთარ საზღვრებს უნდა აკონტროლებდეს, — წერს კოულსონი.

სტატიაში ასევე მოცემულია ავსტრიელი პოლიტოლოგის ჰანს გეორგ ჰაინრიხის მოსაზრება. მისი შეფასებით, მოსკოვს მსო-ში გასაწევრიანებლად ვაშინგტონის კულისებს მიღმა მხარდაჭერის იმედი აქვს.

— მე არ ვფიქრობ, რომ რუსეთს ამ საკითხზე აინტერესებდეს საქართველოს პოზიცია. ამ ეტაპზე მისთვის მთავარია აშშ-მა მოახდინოს გავლენა საქართველოზე და თუ ეს ვერ მოახერხა ვაშინგტონმა, მაშინ გაწევრიანების საკითხს ორგანიზაციის წევრი ქვეყნები ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტენ, — აღნიშნა ჰაინრიხმა.

სტატიის ავტორიც ეთანხმება ჰაინრიხის შეფასებას და საქართველოს სახით ხელისშემშლელ ფაქტორს რუსეთის მსო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საეჭვოდ მიიჩნევს.

— მსო-ში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს მხოლოდ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების 2?3-ის თანხმობის შემთხვევაში მიიღებენ, — წერს კოულსონი.

სტატაში ასევე ხაზგასმულია, რომ ამ დრომდე აშშ-ს რუსეთის მსო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ორაზროვანი დამოკიდებულება აქვს.

აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველის რუსეთისა და ევრაზიის საკითხებში, მაიკლ მაკფოლის შეფასებით, ერთი მხრივ, რუსეთის წევრობა მსო-ში აშშ-ს ეროვნულ ინტერესებშია, მეორე მხრივ კი საქართველოს საკითხია, რომელმაც თავად უნდა გადაწყვიტოს, დაუჭერს თუ რა მხარს მსო-ში რუსეთის გაწევრიანებას.

**მედიანიუსი**

## ხობის რაიონში ქმარმა ცოლი ოჯახის წევრების თანდასწრებით დაჭრა

ხობის რაიონში ოჯახის წევრების თვალწინ სლავა ნაჭყებიამ ცოლს ნინო შულაიას დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა.

ძლიერი შინაგანი სისხლდენით ნინო შულაია ზუგდიდის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა, — იუწყება „საზოგადოებრივი მაუწყებელი“.

ძალადობის მიზეზებზე დაზარალებულს და მისი ოჯახის წევრებს საუბარი უჭირთ. შულაიას ახლობლების განცხადებით, სლავა ნაჭყებიას მხრიდან ეს ცოლზე ძალადობის პირველი ფაქტი არ იყო.

როგორც ირკვევა, ბრალდებული ნასვამ მდგომარეობაში მეუღლეს ხშირად სცემდა. განხეთქილების სავარაუდო მიზეზად მეზობლები სლავა ნაჭყებიას მცირეწლოვან შვილს ასახელებენ, რომელიც ბრალდებულს პირველი ცოლისგან ჰყავდა. ნაჭყებია ზუგდიდის რაიონულ პოლიციაში გადაიყვანეს.

**მედიანიუსი**

## ალასანია ბერლინში ანგელა მერკელის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შეხვდება

„თვაისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია ჰააგიდან დღეს გერმანიაში გაემგზავრება.

ალასანიას პარტიის პრესსამსახურის ცნობით, პარტიის ლიდერი ბერლინში გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ ალასანია ჰააგაში ქართული დემოკრატიის თემაზე გამართულ კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას. ალასანია კონფერენციაზე სიტყვითაც გამოვა.

აღსანიშნავია, რომ ამავე კონფერენციაში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში, ვიცე პრემიერ-მინისტრი გიორგი ბარამიძეც მონაწილეობს.

სემინარი, რომელიც საქართველოში დემოკრატიის კუთხით არსებულ გამოწვევებს და პერსპექტივებს ეხება, კლინგენდალის ინსტიტუტის და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მასპინძლობით იმართება. ღონისძიების ერთ ერთი თანასპონსორია ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრო.

**მედიანიუსი**

## დათო მაღრაძეს შვეიცარიამ კულტურის ელჩის წოდება მიანიჭა

პოეტი დათო მაღრაძე შვეიცარიაში იმყოფება, სადაც კულტურის საერთაშორის საზოგადოების „უნივერსუმის“ საპრეზიდენტო საბჭოს გადაწყვეტილებით პოეტს საქართველოში კულტურის ელჩის წოდება მიენიჭა. შესაბამისი ცერემონია შვეიცარიაში გაიმართა.

დათო მაღრაძე საქართველოში უახლოეს დღეებში დაბრუნდება.

**მედიანიუსი**




# შიშის დაძლევა ამ ხელისუფლებას დაამთავრებს

### როგორ მოიარა ქართულმა პარტიამ კახეთი

გერა მამულაშვილი

**„ქართულმა პარტიამ“ საპროტესტო გამოსვლები, როგორც წინასწარ იყო გამოცხადებული, კახეთის რეგიონიდან დაიწყო. პირველი ხმაურიანი მიტინგები გაიმართა გურჯაანში, თელავსა და ყვარელში. ლიდერების განცხადებით, მალე რეგიონებიდან ხალხს დედაქალაქში დაუ ახებენ და ქვეყნის ხელისუფლებას გადააყენებენ.**

„ახალი თაობის“ მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ინფორმაცია იმ შეხვედრებსა და გაკეთებულ განცხადებებზე, რასაც კახეთის ქალაქებში ჰქონდა ადგილი.

პირველი ხალხმრავალი შეხვედრა გურჯაანში, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა მემორიალთან გაიმართა. „ქართული პარტიის“ ლიდერებმა გვირგვინით შეამკეს „ჯარისკაცის მამის“ ძეგლი. იქვე ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით პოლიტიკური განცხადებებიც გაკეთდა.

**ლევან გაჩეჩილაძე, ქართული პარტიის თანათავმჯდომარე:**

— ხელისუფლების მხრიდან უყურადღებოდ მიტოვებულ ვეტერანებს გილოცავთ გამარჯვების დღეს. იმისთვის შევიკრიბეთ, რომ ახალი სამზადისი დავიწყოთ ბოლო ნაბიჯის გადასადგმელად. მიზანი ერთია, რომ ნებისმიერმა თქვენგანმა მალე უკეთეს საქართველოში იცხოვროს. სადაც მოხუცებულ ადამიანებს, ნაფრონტალ ხალხს პატივს სცემენ, სადაც ყველაფერი ქართული მოვლილი და დაფასებულია. მინდა, ეს დღე გახდეს სიმბოლო უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმისა. მაგრად უნდა ვიყოთ, შიში გვერდზე გადავდოთ, ასევე კერძო მერკანტილური ინტერესები. საქართველოს ყველა კუთხემ ერთიანი ძალით უნდა შევძლოთ დავამარცხოთ ის, რასაც სააკაშვილის საშინელი, ჯალათური რეჟიმი ჰქვია. დღეს დავიწყოთ გაერთიანება-გამთლიანება იმისთვის, რომ პოლიტიკური პასუხისმგებლობა ავიღოთ ბოლო ნაბიჯის გადადგმისა და ამ რეჟიმის დასრულებისთვის.

**სოზარ სუბარი, პარტიის თავმჯდომარე:**

— პირველ რიგში ღვაწლმოსილ ადამიანებს გილოცავთ დღევანდელ დღეს. მათ თავი გაწირეს, სისხლი დაღვარეს იმისთვის, რომ საქართველო დღეს ისეთი მაინც ყოფილიყო, როგორიც არის. ჩვენ ესეც არ გვექნებოდა. გვყავს ხელისუფლება, რომელიც ამ ადამიანებს პატივს არ სცემს და იმ ხსოვნის მემორიალებს აფეთქებს, რომლებზეც გმირების სახელებია ამოტვიფრული. საქართველოდან 400 ათასი ადამიანი შეეწირა ამ ომს, თავისუფლებას, კაცობრიობის ხსნას ბოროტებისგან, რასაც ფაშიზმი ერქვა. დღეს კი გვეუბნებიან, რომ ჩვენთვის ეს დღე არ არსებობს. ამას არ დავუშვებთ და სახლში გავუშვებთ ხელისუფლებას, რომელიც საქართველოს ისტორიის გადახაზვას აპირებს.

დღეს კახეთში ჩამოვიდა თბილისი, დუშეთი, გორი, სამეგრელო. ძალიან მალე, უახლოეს დღეებში, კვირებში დავუძახებთ მთელ კახეთს, მთელ საქართველოს თბილისში, რომ დავამთავროთ ეს სისხლისმსმელი ხელისუფლება.

ლიდერების განცხადებების შემდეგ „ახალი თაობა“ ადგილობრივ ვეტერანებსა და რიგით მცხოვრებლებს გაესაუბრა.

**გიორგი მებალიშვილი, გურჯაანელი ომის ვეტერანი, 88 წლის:**

— რაიხსტაგის აღების ოპერაციაში ვიღებდი მონაწილეობას. კარგია, რომ პარტიები გვერდში გვიდგანან და გვამხნევებენ. სამწუხაროდ, ხელისუფლებისგან სათანადო ყურადღებას ვერ ვგრძნობთ. ომის ვეტერანს პენსია 70 ლარი მაქვს. აბა, ამ თანხაზე პენსიონერმა ადამიანმა როგორ უნდა იცხოვროს?

მთლიანად ქვეყანა გაჭირვებულია და მე როგორ მოვითხოვო? მაგრამ ნაკვეთი ვერ მომიხნავს და მოსავალი ვერ მომიწევია. იქნებ გლეხს ამის საშუალება მაინც ჰქონოდა, რომ შიმშილის საფრთხის წინაშე არ დამდგარიყო. სამუშაო არ არის, დახმარება ძალიან მცირეა, მიწას ვერ ვამუშავებთ. როგორ უნდა იცხოვრო ასეთ პირობებში?!

გამოსავალი ის არის, რომ სოფლის მეურნეობას უნდა მიხედონ. ძალიან მძიმე მდგომარეობაა ამ სფეროში. ხელისუფლებაში აცხადებენ, კახეთის მიწები დამუშავებულიაო. მაგრამ, მოდით, განახვებთ, სად არის დამუშავებული? ერთ-ორ ფერმერს ფული აქვს და ახერხებს, თორემ, ვისაც ერთი ჰექტარი აქვს, ყველას ასე დაუმუშავებლად აქვს მიწა მიტოვებული.

**ნათელა ირემაშვილი, ომის ვეტერანი:**

— ძალიან მიჭირს შვილო. რომ მოხვიდეთ და ჩემი სახლი ნახოთ, თვალებს არ დაუჯერებთ, იტყვით, რატომ არის ეს ქალი ამ დღეში ჩავარდნილიო. სახელმწიფო ცოტათი დამეხმარა, ტელევიზორი გამომიგზავნეს, კოსტიუმი მომცეს, მაგრამ ჩემი ანაბრის ფული დამიბრუნონ და მეტი არაფერი მინდა. აბა, მხოლოდ კოსტიუმი და ტელევიზორი მაცხოვრებს?

**ბიჭიკო მთივლიშვილი, 82 წლის ომის ვეტერანი:**

— მიხარია, დღევანდელი დღე რომ აღინიშნება, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ხალხი მეცოდება. მშრომელი ხალხი სახლში ზის და პურის ლუკმა ენატრება. ხალხი დასაქმებული უნდა იყოს. ამის გარეშე ქვეყანა ვერ განვითარდება. როცა დაასაქმებ, მერე ეს საქმე გიჩვენებს, თურმე ნამდვილი ცხოვრება სად ყოფილა. ჯერჯერობით ქვეყანაში გამოკეთების გზას ვერ ვხედავ.

**ლამარა ზარდიაშვილი, გურჯაანელი სოციალურად დაუცველი:**

— ძალიან გაჭირვებული ვარ. გარეთ როგორც წვიმს, ასევეა ჩემს სახლშიც. საცხოვრებლად უვარგისი ბინა მაქვს. ტელევიზია მოვიყვანე, გადაიღეს ყველაფერი, მაგრამ მეორე წელი დაიწყო და დახმარებას არ მაძლევენ. მაღალ ქულებს მაძლევენ, სახლში ტელევიზორი და ძველი მაცივარი გაქვსო. მხოლოდ ჯანმრთელობის პოლისი მაქვს და ეს დიდს არაფერს ნიშნავს. გავედი გარეთ, ეზოებს ვგვი, რომ სახლში ორი კაპიკი ფული შევიტანო. ავადმყოფ მეუღლეს ვუვლი. რაიონის გამგეობას მივმართე და ჩვენ ეს საკითხი არ გვეხება, სოციალურად დაუცველების სამსახურს მიმართეო. მივმართე, მაგრამ მაინც არაფერს მაძლევენ. ისევ 66 ქულა მომცეს. კიდევ უფრო აირ-დაირია ჩემი წუთისოფელი.

გურჯაანის შემდეგ მორიგი გაჩერება თელავი, ერეკლეს მოედანია, სადაც „ქართული პარტიის“ წარმომადგენლებს ადგილობრივი მოსახლეობა შეხვდა. ლიდერებმა მორიგი ხმამაღალი განცხადებები გააკეთეს.

**ეროსი კიწმარიშვილი, „ქართული პარტიის“ პოლიტიკური მდივანი:**

— მე გურული ვარ. გზაში ლევან გაჩეჩილაძემ მითხრა, ეს კახეთია და ცოტა დინჯად უნდა ვიმოქმედოთო. ამიტომ, ცოტა არ იყოს, დინჯად მოვდივართ. დღევანდელი აქციის მიზანი თქვენთან მოსვლაა, მაგრამ საბოლოო მიზანი ის არის, რომ ეს ჭირი მოვიშოროთ. დღესვე მივდივართ ყვარელში, ზურაბ ადეიშვილის სამშობლოში. მხარე, სადაც ილია ჭავჭავაძე დაიბადა, ახლა ზურა ადეიშვილის სამშობლოა, ადამიანის, რომელიც მონსტრად გადაიქცა და მთელ კახეთს განაგებს, რომელიც სააკაშვილისა და ამ რეჟიმის სახელით საშუალებას არ გაძლევთ, მოხვიდეთ და თქვენი აზრი გამოხატოთ. მოვედით იმიტომ, რომ მოვისმინოთ თქვენ გულისტკივილი, მერე ერთად ყვარელში ჩავიდეთ და ამ პატარა კაცს, სულით, არსით პატარა ადამიანებს ვუთხრათ, რომ მათი პარპაში მალე დამთავრდება. ჩვენ ამ ხელისუფლებას დავამთავრებთ.

**ლევან გაჩეჩილაძე:**



— აქ ძალიან ბევრი წელი მაქვს გატარებული. ალბათ, 28 წლის ვიყავი, როდესაც აქ საქმე დავიწყე. ძალიან ბევრ თქვენგანს ახსოვს, რა ღირდა ჩემ დროს კილოგრამი ყურძენი. კარგი დრო იყო, როცა კომპანია იქნებოდა, მევენახე თუ გლეხი, ყველა მდიდრებოდა. ყველას ჰქონდა პროდუქციის გაყიდვის, გამდიდრების საშუალება. ქვეყნის შავრაზმულმა, კრიმინალურმა ხელისუფლებამ ყველა ჩვენგანს ეს წყარო ბოლომდე მოუსპო.

მე თქვენ პირდაპირ გეუბნებით, რომ ამ ხალხს სამშობლო არა აქვს. ამიტომ ჩვენი ვალია, თითოეული თქვენგანის ვალია, რამდენიმე მთავარ საკითხზე ყურადღება გავამახვილოთ. უკვე ოთხი წელია ვიბრძვით. ამ ხნის განმავლობაში არავის მოგვკლებია არც თავის გატეხა, ჩხუბი, არც ტელევიზიით პირსისხლიან ხელისუფლებასთან ამა თუ იმ თემაზე კინკლაობა. ცილისწამებები და სიბინძურე მოდის იმათგან, ვისაც არც სამშობლო გააჩნია და არც რაიმე ფასეულობა. მაგრამ, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ბრძოლა გავაჩეროთ. უპირველესად ყოვლისა, ეს ამას არ ნიშნავს კახეთში და პირველ ყოვლისა ამ ადგილას, სადაც ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული მეფის ისტორია იწყება და მთავრდება.

ახლა ჩვენთვის რამდენიმე ამბავია მთავარი. დღეს თელავში ვიქნები ის, ვინც ათი და თხუთმეტი წლის წინ ვიყავი. პირველ რიგში დავივიწყოთ შიში. შიში თუ სამშობლო — რა თქმა უნდა სამშობლო. მიპასუხეთ, ასე არ არის? ვიღაც ბინძური ადამიანები თუ სამშობლო, არაქართველები თუ სამშობლო? ჰოდა, დედას გეფიცებით, თუ არ ღირდეს ამ საქმისთვის თავის შეკვლა, ტყვიაზე წასვლა, რადგან ეს ცხოვრება ძალიან მოკლეა, ხოლო ის ცხოვრება, სამშობლოსთვის ბრძოლა უკვდავია. მაგრად იყავით და ერთად ჩავუხტეთ მუხრანს, ბატონს არ ვიტყვი, მაგრამ ჩათლახების ბატონს — ნამდვილად.

თელავიდან საპროტესტო აქცია ორ ნაწილად გაიყო. ერთი ნაწილი ყვარლისკენ გაემართა მორიგი მიტინგის ჩასატარებლად, ხოლო მეორე ჯგუფი ზურაბ ადეიშვილის სოფელ მთისძირში ჩავიდა. იქ მოძრაობა „სამოქალაქო ფრონტის“ წევრებმა ადეიშვილის სახლის წინ აქცია გამართეს და ხელისუფლების მაღალჩინოსნები გააფრთხილეს, რომ მათ პასუხისგება მოუწევთ ჩადენილ გახმაურებულ მკვლელობებზე. აქციის მონაწილეებს დაღუპული ბიჭების სურათები ეკავათ და გამაყრუებელი სტვენითა და მეგაფონში მოწოდებებით გამოხატავდნენ თავიანთ საპროტესტო განწყობას.

„ქართული პარტიის“ პირველი რეგიონული გასვლა საღამოს დასრულდა. ლიდერები პირველი გამოსვლით კმაყოფილი დარჩნენ და მორიგი საპროტესტო აქციისთვის მზადებას შეუდგნენ.

# ხელისუფლება პროვოკაციაზე განზრახ მიდის

## ჩვენ საკუთარი უფლებების დაცვა უნდა ვისწავლოთ!

ნონა ცაბაძე



### ინტერვიუ ექსპერტ ირაკლი სესიაშვილთან

***— ბატონო ირაკლი, მაისის დადგომასთან ერთად ოპოზიციაში პროცესები გააქტიურდა. თქვენ რა შეფასებას მისცემდით ყოველივე ამას?***

— ზოგადად, ქვეყანაში პროტესტისთვის საკმარისზე მეტი საფუძველია, მაშინ როდესაც ხელისუფლებას აქვს, როგორც წესი, საკმარისი დრო იმისათვის, რომ მოახდინოს პოლიტიკური რეაგირება ყველა იმ პრობლემაზე, რომელიც ქვეყნის წინაშე არსებობს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამისთვის ხელისუფლებას პოლიტიკური ნება არა აქვს და არც კულტურა, თუ შეიძლება ასე ითქვას. გეტყვით რატომ — გირგვლიანის საქმეზე გამოტანილმა განაჩენმა და შესაბამისმა განცხადებებმა აჩვენა, რომ ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ეს იყო კიდევ ერთი ნათელი დადასტურება, რომ ხელისუფლება არათუ რაიმეს გამოსწორებისკენ, არამედ უფრო იზოლაციისკენ და უფრო მეტი არადემოკრატიული რეჟიმისკენ წავა, რადგან, როგორც ჩანს, მეტი გზა არ დარჩენია. როდესაც გირგვლიანის საქმეზე ქალბატონმა თინათინ ბურჯალიანმა განცხადება გააკეთა, მან თქვა, რომ არაფერი კატასტროფული არ მომხდარა, სახელმწიფო არ დაუდანაშაულებიათო. სულ არ გასჩენია ჩვენს ხელისუფლებას იმის განცდა, მათ შორის ქალბატონ ბურჯალიანს, რომ ამ საქმეს პირველ რიგში ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მთელი ოჯახი განადგურდა. არანაირი თანაგრძნობა ან იმის განცდა, რომ ამ ხელისუფლებას თუნდაც გირგვლიანის საქმეში მხოლოდ რომ დანაშაული მიუძღვის, ამის განცდა ხელისუფლებაში არ არსებობს. შესაბამისად, ეს განწყობა და დამოკიდებულება ქვეყანაში არსებული პრობლემების მიმართ, მე ვფიქრობ, არის ჯაჭვურად გადამდები ყველა დანარჩენი პრობლემებისთვის. ამიტომ ხელისუფლება, როგორც მე მეჩვენება, განზრახ მიდის პროვოკაციაზე.

***— რატომ?***

— იმიტომ რომ იქნებ როგორმე ხალხი ქუჩაში გამოვიდეს და ამ ქუჩაში გამოსვლით რაიმე პროვოკაციაზე წამოიკიდოს ხელისუფლება, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაიჭიროს, რაც შეიძლება მეტი შიში დათესოს და რაც შეიძლება უფრო მეტად გახლიჩოს და იბატონოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებას სურს რაიმე პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა და თავიდან უნდა აიცილოს საპროტესტო აქციები, მით უმეტეს, როცა რუსულ კუდებზე კეთდება მინიშნებები, მე ვფიქრობ, ამ მომენტში, სანამ ეს აქციები დაიწყება, ხელისუფლებას შეუძლია, ძალიან მარტივად რვიანთან წავიდეს კომპრომისზე, შეთანხმებაზე და ამით, გარკვეულწილად, საზოგადოების ნაწილში პროტესტს შეამცირებს, მაგრამ ამას არ აკეთებს სპეციალურად, იმიტომ რომ ხელისუფლება ცდილობს, მაქსიმალურად ხელი შეუწყოს სიტუაციის ესკალაციას, რათა ამ ესკალაციის პირობებში გამოიყენოს საკუთარი ძალაუფლება და ამით კიდევ ერთხელ დაანგრიოს ან დათესოს ის მითი, რომ ეს ხელისუფლება დაუმარცხებელია.

***— ბოლო დღეებია ვრცელდება ინფორმაციები, რომ ხელისუფლება სერიოზულად ემზადება ამ აქციების დასარბევად. თქვენც ეთანხმებით ამ მოსაზრებას, რომ სერიოზულად არის ამის საფრთხე?***

— მე არ ვამბობ, რომ ხელისუფლება აქციების დარბევას დაიწყებს. ამას გააკეთებს სხვადასხვა ფორმით. 7 ნოემბერს ხელისუფლება არ გაიმეორებს პირდაპირი გაგებით, მაგრამ 7 ნოემბრისთვის ემზადება, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება სხვადასხვა გზით, საშუალებით შეეცდება, შეიქმნას არა კონსენსუსური გარემო საპროტესტო აქციების დროს, გამოიყენოს, ისარგებლოს, რათა შემდეგ ვისთან, თუ არა დასავლეთთან თავი გაიმართლოს, ხომ? ამ შემთხვევაში ხელისუფლებას რაიმე სხვა მიზანი არა აქვს, რომ საზოგადოებას უთხრას, იცით, რა მე სწორად მოვიქეცით? ეს ხელისუფლებას უკვე დიდი ხანია არ ადარდებს. სხვათა შორის, გუშინ ღამე ვუყურე შალვა რამიშვილის გადაცემას, რომელიც დადიოდა ნაციონალური მოძრაობის ოფისებში და ვინმესთან გასაუბრებას ცდილობდა. ეს არის ყველაზე კარგი სურათი იმისა, რეალურად რა პოლიტიკურ ძალასთან გვაქვს საქმე.

***— რას გულისხმობთ?***

— პოლიტიკური ძალა, რომელსაც, ხელისუფლების განცხადებით, 70%-იანი მხარდაჭერა აქვს, ყოველ შემთხვევაში, პარლამენტში უფრო მეტი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი, ეს ოფისები არის უფრო მაფიური შეკრების ადგილები, ვიდრე რეალურად ის, რომ ჟურნალისტი მივიდეს ან მოქალაქე და მისთვის საინტერესო კითხვაზე პასუხი მიიღოს. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს ადამიანები გაურბიან სიტუაციას, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, უბრალოდ, არ იციან, ნორმალურ დემოკრატიულ საზოგადოებაში როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეთ ჟურნალისტებსა და უბრალო მოქალაქეებს. ძალიან საინტერესო მომენტი დაფიქსირდა ამ გადაცემაში და მე ყველას ვურჩევდი, ამაზე ყურადღება გაამახვილოს. ერთ-ერთ ოფისში ჟურნალისტი არ შეუშვა სამმა ადამიანმა და უთხრეს, ჩვენ მხარდამჭერები ვართ, ოფისში არავინ არის და ამიტომ ვერ შეგიშვებთო. როდესაც ჟურნალისტმა ჰკითხა, რას აკეთებო, არაფერსო, უპასუხა. მაშინ, თუ არაფერს აკეთებ, წამოდი ჩემთან ერთადო და ეს ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი, რომელმაც კარში არ შეუშვა, გულით ეუბნება, შენთან ერთად რომ წამოვიდე, დამიჭერენო. აი, ეს არის ვერდიქტი, რომ არათუ საზოგადოებაშია ტერორული განწყობები ხელისუფლების მხრიდან, არამედ თვით ნაციონალურ მოძრაობაშიც, რომლის რიგით წევრს აქვს იმის განცდა, რომ თუ სხვაგან დადგება, ის აუცილებლად გახდება მსხვერპლი, აუცილებლად დაიჭერენ. ამ შემთხვევაში ეს პირდაპირ მიანიშნებს, რომ ჩვენ ქვეყანაში გვაქვს პოლიტიკური ნიშნით დევნა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

მაგთი MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

# კომპანია „მაგთიკომის“ კიდევ ერთი ქართული საქმე

გურამ დოჩანაშვილის, გურამ ასათიანის, ჯანსუღ ჩარკვიანის და ჭაბუა ამირეჯიბის გამოცემათა დაფინანსება.

ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრების უნიკალური კატალოგი და პერსონალური გამოფენა.

ლიტერატურის მუზეუმთან ერთად განხორციელებული შესანიშნავი პროექტი, რომლის ფარგლებშიც მრავალი უნიკალური ჩანაწერი გადარჩა და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა.



ეს არის ძალიან მცირე ჩამონათვალი იმ გამოცემებისა, რომლებიც კომპანია "მაგთიკომის" უშუალო დახმარებით განხორციელდა.

და ბოლო ღონისძიება:

– წიგნი, რომელშიც გურამ ლორთქიფანიძის („ლორთქიას“) შემოქმედებითი გზაა გაშუქებული.

**„თვალს თუ გადავავლებთ ქართულ კინოს, მისი განვითარების მრავალწლიან და რთულ გზას, ნათლად დავინახავთ, რომ ქართული კინო გამორჩეულია თავისი ტრადიციებით და ინდივიდუალობით.**

**ქართული კინოს განვითარებაში თავიანთი წვლილი შეიტანა მრავალმა უნიჭიერესმა და გამოჩენილმა მსახიობმა, რომელთაგან არ შეიძლება არ გამოვარჩიოთ ყველასათვის საყვარელი მსახიობი გურამ ლორთქიფანიძე, იგივე „ლორთქია“.**

**მან თავისი კინოროლებით თავი შეაყვარა ქართველ მაყურებელს და სერიოზული სიტყვა თქვა ქართული კინოს ისტორიაში“,** – ნათქვამია კომპანია „მაგთიკომის“ მიერ მომზადებულ პრესრელიზში.





6 მაისს გურამ ლორთქიფანიძეს 81 წელი შეუსრულდებოდა.

და სწორედ ამიტომ, მისი დაბადების დღეს, „მაგთიკლუბში“, მისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაციაზე, შეიკრიბნენ ის ადამიანები, რომლებთანაც ერთად განვლო „ლორთქიამ“ თავისი რთული, საინტერესო და მრავალი შემოქმედებითი წარმატებით აღსავსე ცხოვრება.

გურამ (კოია) გომართელი, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ შილაკაძე, ელდარ შენგელაია, ვილენ მარდალეიშვილი, დემიკო ლოლაძე, ნიკო ლეკიშვილი, თამაზ ტყემალაძე, გია ყანჩელი, მარინა ჯანაშია, ომარ მხეიძე, ზაზა აბაშიძე. ეს არის იმ ხალხის მცირე ჩამონათვალი, რომლებსაც მთელი საქართველო პატივს სცემს, რომლებიც გურამ ლორთქიფანიძის ახლო მეგობრები იყვნენ და რომლებიც წიგნის პრეზენტაციაზე მოვიდნენ.

იმ დღეს გაიმართა **„მსახიობის შემოქმედების კიდევ ერთი არაჩვეულებრივი გამოფენა“,** სადაც კიდევ ერთხელ გაიხსენეს ყველასათვის საყვარელი მსახიობი და ადამიანი – „ლორთქია“.

შეკრებილ საზოგადოებას „მაგთიკლუბისთვის“ ჩვეული, მყუდრო და სასიამოვნო გარემო დახვდა.

გამოცემის შესახებ ისაუბრეს ჯანსუღ ჩარკვიანმა, ელდარ შენგელაიამ, გურამ გომართელმა, ჰეიდარ ფალავანდიშვილმა და გამოცემის შემდგენელმა თამაზ ტყემალაძემ.

„მაგთიკომს“ მადლობა გადაუხადა გურამ ლორთქიფანიძის მეუღლემ, ქალბატონმა მედეა ციქურიშვილმა.

კომპანია „მაგთიკომის“ მიერ განხორციელებული ამ პროექტის შესახებ ისაუბრა კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა, თათული ღვინიაშვილმა.

**– წიგნის გამოცემის იდეა გურამ ლორთქიფანიძის მეუღლის, ქალბატონ მედეა ციქურიშვილისა და ბატონ თამაზ ტყემალაძისგან წამოვიდა. ისინი „მაგთიკომში“ მოვიდნენ და ჩვენც დაუყოვნებლივ დავთანხმდით სრული ფინანსური დახმარება გაგვეწია ამ უდაოდ საინტერესო ინიციატივისთვის.**

**დამეთანხმებით, რომ ბატონი გურამის ნიჭის თაყვანისმცემლებს ძალიან აინტერესებთ მისი არა მხოლოდ შემოქმედებითი გზა, არამედ მისი პიროვნული თვისებები და პირადი ცხოვრება. ამიტომ მათთვის ამ წიგნის გამოცემა მართლაც რომ კარგი საჩუქარია.**

**ნამდვილი თბილისელობა, მეგობრებისადმი სიყვარული, ის იუმორის გრძნობა, რომლითაც მან თავი**



**არა მხოლოდ ახლო ნაცნობებს დაამახსოვრა, ამ გამოცემის საშუალებით გადაეცემა მომავალი თაობას და ეს არის ის ინფორმაცია,რასაც მხოლოდ ფილმებიდან ვერ მიიღებ.**

**ფოტომასალა, წერილები, სხვადასხვა დროს დაბეჭდილი სტატიები ერთ გამოცემაში მოექცა, რითაც მკითხველს საშუალება ეძლევა უფრო უკეთ გაეცნოს ბატონი გურამის ცხოვრების უცნობ დეტალებს.**

**მინდა ავღნიშნო, რომ „მაგთიკომისთვის“ ეს არ არის პირველი ღონისძიება. ჩვენ მომავალშიც ვგეგმავთ მსგავსი პროექტების განხორციელებას. ჩვენთან მოდიან სხვადასხვა საინტერესო წინადადებებითა და ინიციატივებით, რომელთა განხორციელებაშიც „მაგთიკომი“ აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას.**

**რაც შეეხება დღევანდელ ღონისძიებას, გეტყვით, რომ რადგანაც დღეს ბატონი გურამის დაბადების დღეა, ამიტომ ჩვენ მხოლოდ მისი მეგობრები და ოჯახის წევრები მოვიწვიეთ. შემდგომში კი აუცილებლად გავაფართოებთ სტუმართა სპექტრს და საშუალებას მივცემთ ახალგაზრდებს, უფრო კარგად გაეცნონ ჩვენი პროექტების მიმდინარეობას, უფრო მეტი ინფორმაცია მიიღონ იმ გამოცემების შესახებ, რომლებიც უკვე განვახორციელეთ და რომლებსაც მომავალში ვგეგმავთ.**

ძალიან ლამაზი საღამო იყო „მაგთიკლუბში“ 6 მაისს.

ნამდვილად ლამაზი. მომავლის იმედითა და რწმენით სავსე, რადგანაც იყო გიორგობა და იყო შესანიშნავი მსახიობისა და თბილისელი კაცის დაბადების დღე.

ეს იყო კიდევ ერთი კარგი ქართული საქმე, რომელიც კომპანია „მაგთიკომის“ სახელთან არის დაკავშირებული.

*გია გაბრიჭიძე*

# კანში საქართველოს პავილიონის გახსნება

ეკა ირემაშვილი

**კანის რიგით 64-ე კინოფესტივალის კინობაზრობაზე საქართველო უკვე მეოთხედ იქნება წარმოდგენილი. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი 11-29 მაისს მონაწილეობას მიიღებს კინოფესტივალის ფარგლებში გამართულ კინობაზრობაში. ქართული ფილმების პავილიონი ხუთჯვრიანი დროშის ქვეშ გაიხსნება.**

ეროვნული კინოცენტრის ერთ-ერთი მიზანია ქართული ფილმების საერთაშორისო ბაზარზე გატანის ხელშეწყობა. 2011 წლის კანის კინობაზრობის ფარგლებში იგეგმება შეხვედრები სხვადასხვა კინოფესტივალების წარმომადგენლებთან და გაყიდვების აგენტებთან. კინოცენტრმა დაინტერესებულ პირებს უკვე მიმართა, მიეწოდებინათ სრულმეტრაჟიანი მხატვრული, მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმები, რომლებიც 2010 წელს არის დასრულებული ან წარმოების დასკვნით ეტაპზე იმყოფება, ინგლისური სუბტიტრებით და თანმხლები ინფორმაციით ინგლისურ ენაზე.

პავილიონში ინდუსტრიული კუთხით იმუშავებენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი თამარ ტატიშვილი და სხვა წარმომადგენლები — სალომე სეფაშვილი, დავით ვაშაძე, ქეთი დანელია. უკვე გადაწყვეტილია, რომ ბაზრობაზე კინოცენტრის შეხვედრები რამდენიმე მიმართულებით გაიმართება — სხვა ქვეყნების კინოფონდებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარება და, შესაბამისად, ქართული პროექტებისათვის ალტერნატიული დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირება, ახალი ქართული ფილმების ტრეილერების გავრცელება და შეთავაზება სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალებისათვის, საქართველოს პოზიცირება, როგორც გადასაღებად მიმზიდველი ქვეყანა. გავრცელდება ეროვნული კინოცენტრისა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ერთობლივი დისკიც.

კინოფესტივალის ფარგლებში განახლდება მოლაპარაკებები საქართველოს ევროპის საბჭოს კინოს მხარდაჭერის ფონდში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. 14 მაისს ქართულ პავილიონში გაიმართება ტრადიციული მიღება უცხოელი სტუმრებისთვის საქართველოსა და ქართული კინოს პოპულარიზაციის მიზნით. მიღებისას ქართული ღვინის დაგემოვნებას უზრუნველყოფს კომპანია „თელიანი ველი“.

კანის კინოფესტივალსა და კინობაზრობაზე სხვადასხვა მიზნით მიემგზავრებიან ასევე ქართველი რეჟისორები და პროდიუსერები — ვანო ბურდული, თიკო ყაჯრიშვილი („რეისი თბილისი თბილისი“ პროექტისთვის დაფინანსების მოპოვების მიზნით), ზაზა რუსაძე („ჩემი საბნის ნაკეცი“ პროექტის განვითარების მიზნით), თორნიკე ბზიავა („ბუდე“ ფილმის ჩვენებისთვის), გიორგი ოვაშვილი, ქეთი გალდავაძე („ხიბულა“ პროექტისთვის დაფინანსების მოპოვების მიზნით), ნიკოლოზ ხომასურიძე („დავიწყებული მეფე“ ჩვენება კინობაზრობაზე), გუკა რჩეულიშვილი („დაბადებულები საქართველოში“ ფილმის გაყიდვის მიზნით), ბაკურ ბაკურაძე, არჩილ გელოვანი ფილმით „მონადირე“ ფესტივალის ერთ-ერთ საკონკურსო სექციაში „განსაკუთრებული ხედვა“.

ბაკურ ბაკურაძის ფილმი „მონადირე“ კანის კინოფესტივალის 2011 წლის საკონკურსო პროგრამაში მოხვდა. მიუხედავად იმისა, რომ სურათი რუსეთშია გადაღებული, მისი პროდიუსერი არჩილ გელოვანია. კანის კინოფესტივალის პრეზიდენტის მიერ დაარსებულ პროგრამაში „განსაკუთრებული ხედვა“ ქართული ფილმი პირველად მონაწილეობს. იგი ისეთ ცნობილ რეჟისორებს გაუწევს კონკურენციას, როგორებიც არიან კორეელი კიმ კი დუკი და ამერიკელი რეჟისორი და სცენარისტი გას ვან სენტი, რომლის ფილმებიც არაერთხელ იყო წარდგენილი ოსკარზე, ბერლინალეზე. პროგრამა „განსაკუთრებული ხედვა“ 1978 წელს კანის კინოფესტივალის პრეზიდენტმა ჟილ ჟაკობმა დააარსა.

როგორც ეროვნულ კინოცენტრში „ახალ თაობას“ განუცხადეს, ამ პროგრამაში მოხვედრა უკვე წარმატებას ნიშნავს. 80-იანი წლების შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა კონკურსში ქართველი რეჟისორი მონაწილეობს. ნანა ჯორჯაძე „ოქროს კამერით“ დაჯილდოვდა ფილმისთვის „რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“. თენგიზ აბულაძის ფილმმა „მონანიებამ“ ჟიურის სპეციალური გრან-პრი და ეკუმენური ჟიურის პრიზი ჰუმანიზმისათვის მიიღო. წინა წლებში კანის კინოფორუმის საკონკურსო პროგრამაში რამდენიმე ქართველი რეჟისორის ნამუშევრებიც იყო წარდგენილი.

ქართული კინოსამყაროდან კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ქართველი ლაურეატები არიან „მაგდანას ლურჯა“ (რეჟისორები თენგიზ აბულაძე, რევაზ ჩხეიძე) — პრიზი საუკეთესო მხატვრული ფილმისთვის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში, „მიფრინავენ წეროები“ (რეჟისორი მიხეილ კალატოზოვი — მთავარი პრიზი „ოქროს პალმა“ მაღალი მხატვრული ღირსებებისა და ჰუმანიზმისთვის, „გიორგობის თვე“ (რეჟისორი ოთარ იოსელიანი) ფიპრესის პრიზი, „თეთრი ქარავანი“ (რეჟისორები ელდარ შენგელაია, თამაზ მელიავა) მონაწილეობდა ფესტივალის მთავარ კონკურსში 1964 წელს, „ჭირი“ (ანიმაციური ფილმი, რეჟისორი დავით თაყაიშვილი) ჟიურის პრიზი მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში.

24-წლიანი პაუზის შემდეგ კანის კინოფესტივალის საკუნკურსო პროგრამის მონაწილეთა შორის კიდევ ერთი ქართველი რეჟისორია — ბაკურ ბაკურაძე ფილმით „მონადირე“. ფილმი ივან დუნაევზეა, რომელიც სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს.

ბაკურ ბაკურაძის ფილმები სხვადასხვა პრიზებისა და ჯილდოების მფლობელია. რეჟისორის 35-წუთიანი ფილმი „მოსკოვი“ გახდა რამდენიმე კინოფესტივალისა და კონკურსის ლაურეატი. ეს ფილმი კანის კინოფესტივალზე იქნა ნაჩვენები მოკლემეტრაჟიანი ფილმების განყოფილებაში, ამავე ფილმის არასაკონკურსო ჩვენება შედგა საერთაშორისო კინოფესტივალებზე ობერჰაუზენსა და ტურინში, ფილმმა მონაწილეობა მიიღო საკონკურსო ჩვენებაში პარიზის ფესტივალზე.

ქართველი რეჟისორის ფილმმა „შულტესმა“ კინოტავრის კინოფესტივალზე საუკეთესო ფილმისთვის გრან-პრი მიიღო. ბაკურ ბაკურაძეს სულ 11 ფილმი აქვს გადაღებული, არჩილ გელოვანი კი 10-ზე მეტი მხატვრული და დოკუმენტური ფილმის პროდიუსერია, რომლებმაც სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალები უკვე მოიარა.

წელს კანის კინოფესტივალის პროგრამის ჟიურის თავმჯდომარე ცნობილი სერბი რეჟისორი ემირ კუსტურიცაა.

სპორტი

# ფიფა და ინტერპოლი ჩაწყობილი მატჩების წინააღმდეგ

უეფადან გამოგზავნილი წერილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში საეჭვო მატჩების შესახებ ატყობინებდა. ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო პერიოდულად ღიად აცხადებს ჩაწყობილ თამაშებთან ბრძოლას და უკვე ნათელია, რომ უეფას საქართველოს საკითხზეც აქტიური მუშაობა დასჭირდება. თუკი აქამდე საქართველოს ჩემპიონატში არსებულ სიბინძურეებზე მხოლოდ ეჭვი არსებობდა, ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების წყალობით რამდენიმე უკანონო საფეხბურთო გარიგებას ფარდა აეხადა.

უეფას მსგავსად, მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში მიმდინარე უმსგავსობების მიმართ გულგრილი არც ფიფაა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ზეპ ბლატერის უწყება ინტერპოლთან ათწლიან ხელშეკრულებას აფორმებს და საფეხბურთო მაქინაციების გამოვლენაზე უკვე სისხლის სამართლის საერთაშორისო პოლიციასთან ერთად იმუშავებს. პირველ ეტაპზე ფიფა ამ საქმისთვის 20 მილიონი დოლარის დახარჯვას აპირებს.

საეჭვო მატჩები კი ძალიან ბევრ ქვეყანაში იმართება. სავარაუდოდ, ევროპაში ამ მხრივ გერმანია უნდა ლიდერობდეს. იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე წლის წინ პოლიციამ ამ ქვეყანაში მოქმედი ხორვატიული კლანი გაანეიტრალა და მას ციხეში არბიტრი რობერტ ჰოიცერიც მიუსვა, რჩება სერიოზული ეჭვი, რომ გერმანიაში საფეხბურთო მაფია ძველებურად ჰყავს. ფიფა და ინტერპოლი გერმანიის სხვადასხვა ლიგებში გამართული 300 საეჭვო მატჩის დეტალებს იძიებენ. მეორე ადგილზე ხორვატიაა, სადაც ძიების ობიექტი 47 შეხვედრაა, მესამე საფეხურს კი ფინეთი იკავებს, სადაც სულ ცოტა ხნის წინ მოხდა დიდი სკანდალი და მოწმის სტატუსით პოლიციასთან საქმე ქართველ ფეხბურთელებს, ძმებ ხორგუაშვილებსაც ჰქონდათ.

ფიფა მხოლოდ ამ სამ „ლიდერ“ ქვეყანას ასახელებს. ჯერჯერობით უცნობია, რომელი ადგილი უჭირავს ამ „საპატიო“ რეიტინგში საქართველოს, მაგრამ ვეჭვობთ, ჩვენს ქვეყანას გარიგებული მატჩების რაოდენობით იმაზე გაცილებით მეტი „მიღწევა“ ექნება, ვიდრე ფიფას სანაკრებო რეიტინგში აქვს.

გამოძიება მხოლოდ საკლუბო კი არა, სანაკრებო მატჩებზეც მიმდინარეობს. არსებობს ეჭვი, რომ ბოლივია-ლატვიისა და ბულგარეთ-ესტონეთის ამხანაგურ შეხვედრებში უხვად დანიშნული პენალტები წინასწარ დადგმული სცენარის შემადგენელი ნაწილი იყო.

გამოძიების კვალდაკვალ, ფიფა თავის წევრ ქვეყნებში კლუბების ხელმძღვანელთათვის, მწვრთნელებისა და ფეხბურთელებისთვის სპეციალური ტრენინგების ჩატარებას გეგმავს, რომლის მეშვეობითაც შეეცდება, აუხსნას მათ, რაოდენ მძიმე შედეგები მოჰყვება ბინძურ საფეხბურთო გარიგებებში მონაწილეობას. ამასთან, ფიფა მათ სპეციალურ ინსტრუქტაჟს ჩაუტარებს, რომელიც კეთილსინდისიერ ფეხბურთელებს თაღლითების გამოვლენაში სამართალდამცავი ორგანოების დახმარებას გაუადვილებს. ფიფა სთხოვს თავის წევრ ყველა ფედერაციასა და ასოციაციას, კარგად გაითავისონ შექმნილი პრობლემის სიმძიმე და მათ ხელთ არსებული ყველა ბერკეტი გამოიყენონ უკანონობასთან საბრძოლველად.

ფიფა არც საკუთარი შეცდომების აღიარებას ერიდება და საჯაროდ აცხადებს, რომ სჯობდა, ინტერპოლთან საქმე აქამდეც დაეჭირა. თუკი დღემდე პოლიცია საფეხბურთო დამნაშავეების პოვნას იშვიათად ახერხებდა, მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანო იმედოვნებს, რომ ეს ხელშეკრულება ფეხბურთის “განწმენდის“ დასაბამი გახდება.ქართულ სკანდალზე ჯერჯერობით კომენტარი არც ფიფას გაუკეთებია და არც უეფას, მაგრამ დარწმუნებულები უნდა ვიყოთ, რომ საქართველოს ჩემპიონატი მათი დაკვირვების ობიექტია და ასე გაგრძელდება ახლო მომავალშიც.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## განცხადებები

● ქირავდება საბურთალოზე ოროთახიანი კეთილმოწყობილი, მაღალჭერიანი ნათელი ბინა, ავეჯით, მაცივრით, სარეცხი მანქანით, გარაჟით. თვეში 400 აშშ დოლარი. ტელ: 874-48-50-55 შორენა ფიფია; 879-89-00-01 გოგა ფიფია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● გარანტიით, სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს და შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 15 ლარი. ტელ: 899-97-85-46. ბიოენერგოინფორმაციული მედიცინის სპეციალისტი, რეაბილიტოლოგი, სახალხო მკურნალი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

**ნათელმხილველი**
**მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უილბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.**
**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**
**მის.: მეტრო „ავლაბართან", მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

# ქეცბაიას თავსატეხი მოექალა



საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების თავკაცი თემურ ქეცბაია რამდენიმე დღის წინათ საქართველოში იყო, თუმცა, ამჟამად, კვიპროსზეა და თბილისში 12 მაისს ჩამოფრინდება. ქეცბაიას შეგირდებს 3 ივნისს 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მნიშვნელოვანი მატჩი ელის ხორვატიის ნაკრებთან და მწვრთნელიც ამ თამაშისთვის 13-15 მაისამდე დაასახელებს შემადგენლობას.

ჯერ ნაადრევია იმაზე საუბარი, ვინ იქნება ნაკრებში და ვინ არა. თუმცა, ბოლო მატჩიდან გამომდინარე შემადგენლობა რამდენამდე გადახალისებული იქნება და დიდი ალბათობით, ერთი-ორი ახალი სახე გამოჩნდება გუნდში. პირველ რიგში ამის მიზეზი ის არის, რომ დისკვალიფიცირებულნი არიან ლევან კობიაშვილი და ოთარ მარცვალაძე, ხოლო ჯანო ანანიძე ტრავმირებულია. გეცოდინებათ, მოსკოვის „სპარტაკის" 18 წლის ნახევარმცველს კოჭი ჰქონდა დაზიანებული, შემდეგ ვარჯიში დაიწყო, მაგრამ 4 დღის წინ ისევ შეწყვიტა — ისევ კოჭის სახსარი დაზიანებული აქვს და მკურნალობს.ჯანოს გამოჯანმრთელების ზუსტი ვადა ჯერ უცნობია. როგორც ცნობილი გახდა, კოჭის გამიზეზება ვარჯიშის ნაადრევად დაწყებამ განაპირობა, თუმცა, ამის მიუხედავადაც, დიდად საგანგაშო ტრავმაც არაა და იმედია, რომ ანანიძე ხორვატებთან თამაშს შეძლებს.

ქეცბაიას ერთი სასიხარულო ამბავიც აქვს — შესაძლოა, 3 ივნისის ხორვატიასთან მატჩისთვის ალექსანდრე ამისულაშვილი სათამაშოდ მზად იყოს.

გეხსომებათ, 20 აპრილს მოსკოვის "სპარტაკთან" შეხვედრისას ამისულაშვილს სახეში იდაყვი მოხვდა, მძიმედ დაშავდა, სახის ძვლები გაუტყდა და ოპერაცია დასჭირდა. ის ახლახან დაბრუნდა კრასნოდარში და, საერთო აზრით, ხორვატიასთან ვერ ითამაშებდა. მაგრამ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ალეკო უკეთ არის და თუ ყველაფერი კარგად იქნა, შესაძლოა, 21 მაისამდე მოედანს დაუბრუნდეს.

ალეკო უკვე გაემგზავრა გერმანიაში, სადაც ოპერაცია გაიკეთა და სახის დასაცავი ნიღაბი შეუკვეთა.

# თორნიკე შენგელია: „თუკი ნბა-ს გუნდებს ჩემს ძალას დავუმტკიცებ, დრაფტზე დავრჩები"



თორნიკე შენგელიამ საკუთარი კანდიდატურა ნბა-ს მოახლოებულ დრაფტზე დააყენა. 23 ივნისს მსოფლიოს უძლიერესი საკალათბურთო ლიგა ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშეების მორიგ შევსებას მიიღებს, თუმცა, იქნება თუ არა მათ შორის ქართველი ფორვარდი, ჯერჯერობით, დაზუსტებული არ გახლავთ.

კანდიდატი ოთხმოცდაცხრაა, სულ კი დრაფტზე 60 კალათბურთელს აირჩევენ (თითო გუნდი ორ-ორს). თორნიკე შენგელია 19 წლისაა, დრაფტზე დადგომის შესაძლებლობა კი მოთამაშეებს 22 წლამდე აქვთ. აქედან გამომდინარე, არაა გამორიცხული, მან წლევანდელ დრაფტზე დადგომა გადაიფიქროს: კანდიდატებს 4 ივნისამდე შესაძლებლობა აქვთ, განაცხადი უკან გაიტანონ.

***— ნბა-ს დრაფტზე დამდგარ მოთამაშეთა სიაში თქვენი გვარიც ვნახეთ. გადაწყვეტილება როდის მიიღეთ?***

— გადაწყვეტილება ჩემს აგენტთან შეთანხმებით მივიღე. დრაფტზე წლეულს 89 კალათბურთელი დადგა, თუმცა, ეს სია მნიშვნელოვნად შემცირდება.

***— თქვენი ამბავი გვაინტერესებს. რას გეგმავთ, დადგებით დრაფტზე, თუ თქვენს გვარს კანდიდატთა სიიდან ამოიღებთ?***

— ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორი წარმატებით გამოვალ ნბა-ს გუნდების წინასადრაფტო ვარჯიშებზე.

***— ანუ გადაწყვეტილი გაქვთ, რომ ამ ვარჯიშებში მონაწილეობას მიიღებთ?***

— დიახ, სეზონი დასრულდება და მერე შტატებში ვაპირებ გამგზავრებას.

***— კონკრეტულად თუ იცით, რომელი გუნდის ღია ვარჯიშებში მიიღებთ მონაწილეობას?***

— ჯერ არაფერი არ ვიცი. დასრულდება სეზონი და ამის შემდეგ შევიტყობ ყველაფერს. კლუბებთან ურთიერთობას ჩემი აგენტი აწარმოებს. ვგეგმავ, ნბა-ს რამდენიმე გუნდის ვარჯიშზე მივიდე და თუკი იქაურებს თავს მოვაწონებ და გარკვეულ გარანტიებს მივიღებ, დრაფტზე დავდგები. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანდიდატურას გამოვიტანთ. საჩქარო ნამდვილად არ მაქვს, რადგან წინ კიდევ 3 წელი მაქვს და როცა ყველაზე უკეთესი შანსი მექნება, დრაფტზეც მაშინ დავდგები.

***— როგორ თვლით, წლევანდელ დრაფტზე როგორი შანსები გაქვთ? მიმდინარე სეზონში რამდენად კმაყოფილი ხართ საკუთარი თამაშით?***

— წარმატებულ სეზონს ნამდვილად არ ვატარებ. „შარლერუამ" შედარებით სუსტ „პეპინსტერში" სათამაშო პრაქტიკის მიღებისა და კლასის ამაღლების გამო გამანათხოვრა. გარკვეულწილად ეს ასეც ხდება, თუმცა მწვრთნელი ხან მენდობა, ხანაც ცოტას მათამაშებს. მეც სტაბილურობა მაკლია და შეიძლება ერთ მატჩში კარგი თამაშის შემდეგ მეორეში წარუმატებლად ვიასპარეზო. სტაბილურობა მჭირდება და ვეცდები, სეზონის დარჩენილ თამაშებში თავი გამოვიჩინო.

# გურამ კაშიას სავსე ფიალა

„გრონინგენის" ძლევით (2:1), „ვიტესმა" მომავალი სეზონისთვის ელიტურ ჰოლანდიურ დივიზიონში ადგილი პრაქტიკულად შეინარჩუნა. გუნდის ელიტაში დარჩენაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გურამ კაშიამ, რომელთან ინტერვიუ უეფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

თბილისის „დინამოს" ყოფილი კაპიტანი გურამ კაშია საკმაოდ წარმატებულად შეეთვისა თავის ახალ გუნდს. სეზონის მსვლელობისას „ვიტესის" ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა და საკუთარი წვლილი შეიტანა ჰოლანდიურ ერედივიზიონში არნემელთა ადგილის დამკვიდრებაში.

ბოლო ტურში, რომელიც მომავალ კვირას გაიმართება, შავ-ყვითლებს „ექსელსიორთან" საშინაო შეხვედრაში 3 ბურთით წაგების უფლებაც აქვთ. ზემოთ ნახსენებ მატჩს რაც შეეხება, მასში მასპინძელთათვის გამარჯვების მომტანი, ქართველი მცველის გატანილი გოლი გახდა.

თბილისის „დინამოს" წამყვანი მცველი და კაპიტანი არასოდეს მალავდა ხარისხობრივად ახალ დონეზე თამაშის გაგრძელების სურვილს. ერთი წლის წინათ, კაშიამ, როგორც იქნა, მიიღო საქართველოზე გაცილებით ძლიერ ჩემპიონატში ძალების მოსინჯვის შანსი. შედეგად, ეროვნული ნაკრების მოთამაშემ, ელიტაში „ვიტესის" დარჩენაში საკუთარი წვლილი შეიტანა.



ალსანიშნავია, რომ არნემულ კლუბს, თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ხელმძღვანელობს.რამდენად იმოქმედა ამ ფაქტორმა კაშიას „ვიტესში" ჩარიცხვაზე?

— გუნდში სინჯებზე მოხვედრაში ჩემი აგენტები, წარსულში საქართველოს ნაკრების მოთამაშეები, გიორგი ქინქლაძე და გოგა გახოკიძე დამეხმარნენ. ჟორდანია საერთოდ არ მიცნობდა, ამიტომ მათ რეკომენდაციებს დაეყრდნო. ვფიქრობ, ისინი არ შემირცხვენია და ჩემი შანსი გამოვიყენე. თავდაპირველად, 6-თვიან საცდელ ვადაზე იყო საუბარი, მაგრამ უკვე ერთი სეზონი გავიდა და ახლახან კონტრაქტი კიდევ 2 წლით გავახანგრძლივეთ, — ამბობს ფეხბურთელი.

„ვიტესს" ელიტაში დამკვიდრება საკმაოდ გაუჭირდა, რამაც სხვებთან ერთად ქართველი მცველიც შეაშფოთა.

— თავდაპირველი მიზანი საფლეიოფე ზონაში მოხვედრა იყო, რაც მინიმუმ, ევროლიგის საგზურის გარანტიას იძლევა, მაგრამ ისე ცუდად ვიასპარეზეთ პირველ წრეში, მიზანიც შეიცვალა. კლუბის ამბიციები გუნდის ზოგიერთი ფეხბურთელისთვის საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა. ბევრი წავიდა და მათ ადგილზე ახლები მოვიდნენ — სეზონის განმავლობაში 2 მწვრთნელიც შეგვეცვალა. „ბარსელონას" ყოფილი ფეხბურთელის, ალბერტ ფერერის მოსვლით, ბევრი რამ უკეთესობისაკენ შეიცვალა. იმედი მაქვს, ახალ სეზონში გაცილებით დამაჯერებლად ვითამაშებთ, — გვპირდება კაშია.

უკეთესი მომავლის იმედის ნაწილი უკავშირდება ახალგაზრდა ქართველი ტალანტის, გიორგი ჭანტურიას თამაშს, რომელიც „ვიტესში" „ბარსელონას" ახალგაზრდული გუნდიდან გადავიდა.

— ჭანტურია საკმაოდ ნიჭიერი და იმედისმომცემი მოთამაშეა. სავსებით შესაძლებელია, მომავალში სწორედ მასზე აეწყოს საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაში. თუმცა, საამისოდ მას ჯერ კიდევ ზრდა და ახალგაზრდულ ნაკრებში თავის გამოჩენა სჭირდება. „ვიტესში" ყველა იმედოვნებს, რომ ახალ სეზონში იგი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი იქნება. გიორგი თითქმის ერთი წელია გუნდთან ერთად ვარჯიშობს და ამხანაგურ მატჩებში თამაშობს. მას ახლახან 18 წელი შეუსრულდა და კლუბთან პროფესიონალური კონტრაქტი გააფორმა. ასე რომ, ჭანტურიას ყველაფერი წინ აქვს, — ჰყვება კაშია ჭანტურიაზე, რომელმაც ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩში, „ბარსას" ძირითად გუნდში ლიონელ მესისთან ერთად ითამაშა და გატანილი გოლითაც გამოირჩა.

კაშია არც საკუთარ თავზე საუბარს ერიდება:

— თავდაპირველად, მთავარი იყო გუნდის ძირითადში დავმკვიდრებულიყავი. სხვათა შორის, ჯერ ჩემთვის უჩვეულო პოზიციაზე, მარჯვენა მცველად დამაყენეს. რა გაეწყობა, ყველა ფეხბურთელს უნდა შეეძლოს თავის გუნდს იქ მოუტანოს სარგებელი, სადაც გუნდის ინტერესები მოითხოვს. ახალ წლამდე ფლანგის გამაგრება მიწევდა და იმის მიუხედავად, რომ რამდენჯერმე ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოვხვდი, ვთვლი, რომ მხოლოდ დამაკმაყოფილებლად ვითამაშე. დაცვის ცენტრში დაბრუნების შემდეგ კი, ძველი დამაჯერებლობა დამიბრუნდა. მე-2 წრეში გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გავხდი, ისეთი, როგორსაც ჩემს ძველ კლუბში მიცნობდნენ. ახლა შემიძლია იმის თქმა, რომ „ვიტესში" ჩემი ადგილი ვიპოვე. შესაძლოა, ეს გატანილი გოლის სიხარულის გახსენებასაც უკავშირდება. ამაყი ვარ, რომ გუნდის ბედი რამდენჯერმე მე გადავწყვიტე. მართლაც, გურამ კაშია ცენტრალური მცველის პირობაზე საკმაოდ შედეგიანია. წინა წლებში მან „დინამოს" მაისურით 11 გოლი გაიტანა, ხოლო მიმდინარე სეზონში, „ვიტესის" მეტოქეებს უკვე 3 გოლი გაუტანა.

არის უსიამოვნო მომენტებიც. მაგალითად, ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში კაშიამ ჯერ მხოლოდ 5 მატჩი ითამაშა.

— მართლაც ძალიან განვიცდი, რომ ასე ცოტას ვთამაშობ ნაკრებში. რაც არ უნდა კარგად გრძნობდე თავს კლუბში, ნებისმიერი მოთამაშის უპირველესი ოცნება მაინც მშობლიური ქვეყნის ღირსების დაცვაა. როგორც ჩანს, კიდევ უფრო უკეთ უნდა ვითამაშო, მანამდე კი, იმითაც მოხარული ვარ, რომ ეროვნული ნაკრების წევრი ვარ, — მოკრძალებულად საუბრობს ქართველი მცველი.

— ძალიან მიხარია, რომ თემურ ქეცბაიას თავკაცობით, ნაკრების თამაში და შედეგი მკვეთრად გაუმჯობესდა. ამიტომ, კიდევ უფრო მეტად მინდა ამ პროგრესის მონაწილე გავხდე. ვიდრე ჩემი დრო არ მოსულა, თავდაუზოგავად ვიშრომებ და მინდა მჯეროდეს, რომ ნაკრებში თამაშის შანსს კიდევ დავიმსახურებ, — იმედოვნებს კაშია.

ბუნებრივია, ყველა თბილისის დინამოელის გულში სამუდამოდ რჩება მისი მშობლიური კლუბი.

— ყოველთვის ვპოულობ დროს, თვალი ვადევნო ჩემი პირველი გუნდის თამაშებს. ჯერ ადრეა ამაზე საუბარი, მაგრამ ძალიან მინდა, კარიერა იქ დავასრულო, სადაც დავიწყე. რა თქმა უნდა, ყოფილ თანაგუნდელებთან მჭიდრო კონტაქტები მაქვს, ხშირად ვურეკავ „დინამოს" თავკაც კახა კაჭარავას და ძალიან მიხარია, რომ „დინამოში" თანდათან ყველაფერი უკეთესობისაკენ იცვლება. ბედნიერი ვიქნები, თუ ასეთი ტრადიციების მქონე კლუბი ძველ დიდებას მალე დაიბრუნებს და ახალი სიმაღლეების მიღწევას შეძლებს.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ფულემი-ლივერპული ........ 2:5

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 36 | 22 | 10 | 4 | 73:34 | 76 |
| 2.ჩელსი | 36 | 21 | 7 | 8 | 67:30 | 70 |
| 3.არსენალი | 36 | 19 | 10 | 7 | 69:39 | 67 |
| 4.სიტი | 36 | 18 | 9 | 9 | 54:33 | 63 |
| 5.ლივერპული | 36 | 17 | 7 | 12 | 59:41 | 58 |
| 6.ტოტენჰემი | 35 | 14 | 14 | 7 | 51:44 | 56 |
| 7.ევერტონი | 37 | 12 | 15 | 9 | 50:44 | 51 |
| 8.ბოლტონი | 36 | 12 | 10 | 14 | 49:50 | 46 |
| 9.ფულემი | 36 | 10 | 15 | 11 | 45:42 | 45 |
| 10.სტოკი | 35 | 13 | 6 | 16 | 46:44 | 45 |
| 11.ნიუკასლი | 36 | 11 | 11 | 14 | 51:52 | 44 |
| 12.სანდერლ. | 37 | 11 | 11 | 15 | 43:56 | 44 |
| 13.ვესტ ბრომ. | 36 | 11 | 10 | 15 | 52:68 | 43 |
| 14.ას. ვილა | 36 | 10 | 12 | 14 | 45:58 | 42 |
| 15.ბლექბერნი | 36 | 10 | 9 | 17 | 42:56 | 39 |
| 16.ბირმინგემი | 35 | 8 | 15 | 12 | 35:52 | 39 |
| 17.ვულვზი | 36 | 10 | 7 | 19 | 41:62 | 37 |
| 18.უიგანი | 35 | 7 | 15 | 13 | 36:56 | 36 |
| 19.ბლექპული | 36 | 9 | 9 | 18 | 49:71 | 36 |
| 20.ვესტ ჰემი | 36 | 7 | 12 | 17 | 41:64 | 33 |

**იტალია. სერია ა**

იუვენტუსი-კიევო ........ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 36 | 23 | 9 | 4 | 61:23 | 78 |
| 2.ინტერი | 36 | 22 | 6 | 8 | 65:40 | 72 |
| 3.ნაპოლი | 36 | 21 | 5 | 10 | 56:36 | 68 |
| 4.უდინეზე | 36 | 19 | 5 | 13 | 63:43 | 62 |
| 5.ლაციო | 36 | 18 | 6 | 12 | 47:35 | 60 |
| 6.რომა | 36 | 17 | 9 | 10 | 55:49 | 60 |
| 7.იუვენტუსი | 36 | 15 | 12 | 9 | 55:44 | 57 |
| 8.პალერმო | 36 | 16 | 5 | 15 | 55:59 | 53 |
| 9.ფიორენტინა | 36 | 12 | 13 | 11 | 46:41 | 49 |
| 10.ჯენოა | 36 | 13 | 9 | 14 | 40:41 | 48 |
| 11.კალიარი | 36 | 12 | 8 | 16 | 42:46 | 44 |
| 12.კიევო | 36 | 10 | 13 | 13 | 35:37 | 43 |
| 13.კატანია | 36 | 11 | 10 | 15 | 37:48 | 43 |
| 14.პარმა | 36 | 10 | 12 | 14 | 37:46 | 42 |
| 15.ბოლონია | 36 | 11 | 11 | 14 | 34:47 | 41 |
| 16.ჩეზენა | 36 | 9 | 8 | 16 | 35:47 | 40 |
| 17.ლეჩე | 36 | 10 | 8 | 18 | 42:62 | 38 |
| 18.სამპდორია | 36 | 8 | 12 | 16 | 31:44 | 36 |
| 19.ბრეშა | 36 | 7 | 10 | 19 | 32:49 | 31 |
| 20.ბარი | 36 | 4 | 9 | 23 | 23:54 | 21 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლავალი-ევიანი ........ 2:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

გალათასარაი-ქაშიმფაშა ........ 3:1

**დანია. სასლიგა**

მიდტიულანდი-სონდერიისკე ........ 2:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ელფსბორგი-ნორჩიოპინგი ........ 2:1
ჰელსინბორგი-გეფლე ........ 3:0
გიოტებორგი-გაისი ........ 2:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

სონგდალი-ვიკინგი ........ 0:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-ტპს ........ 2:1
ინტერი-ჰონკა ........ 4:0
მარიეჰამნი-როვანიემი ........ 3:3
ჰიკი-კუუპიო ........ 4:1
იარო-ჰაკა ........ 1:2
ჯჯკ-მიუპა ........ 1:0

**არგენტინა. კლაუსურა**

ველეჟი-ბანფილდი ........ 2:0

### კალათბურთი

**ნბა. პლეი-ოფი**

**მეოთხედფინალები 4 მოგებამდე**

ბოსტონი-მაიამი ........ 90:98
სერიის ანგარიში ........ 1:3
მემფისი-ოკლაჰომა ........ 123:133(3ოტ)
სერიის ანგარიში ........ 2:2

### ჩოგბურთი

**ატპ. რომი. თიხა**

სიმონი-როდიკი ........ 6:3;6:3
ანდრეევი-რიბა ........ 6:4;7:5
კუევასი-კუბოტი ........ 6:7;6:2;2:6
ჰირალდო-ფიში ........ 6:4;2:6;2:6
ჰანესკუ-სტახოვსკი ........ 3:6;6:1;6:7
დავიდენკო-ტროიცკი ........ 4:6;5:7
დოლგოპოლოვი-სტარაჩე ........ 3:6;3:6
ცონგა-ბაგდატისი ........ 6:3;6:2
ჩილიჩი-კარლოვიჩი ........ 6:4;6:0
ანდერსონი-კიურეი ........ 6:7;0:6

**ვტა. რომი. თიხა**

დუშევინა-მორიტა ........ 6:3;6:1
დულჟერუ-ჰერცოგი ........ 1;6;5:7
ვესნინა-პაჩეკი ........ 6:4;6:4
ბარტოლი-პარა სანტონია ........ 6:2;6:3
კლეიბანოვა-ლეპჩენკო ........ 6:2;6:2
ვიკმაიერი-კერბერი ........ 4;6;6:3;6:3
გაიდოშოვა-დენტონი ........ 6:1;6:2
ჰანტუჩოვა-პირონკოვა ........ 6:4;6:2
ივანოვიჩი-პეტროვა ........ 6:0;6:0
საფაროვა-დატე კრუმი ........ 7:5;6:2

### ჰოკეი

**ნჰლ. პლეი-ოფი**

**მეოთხედფინალი 4 მოგებამდე**

ნეშვილი-ვანკუვერი ........ 1:2
სერიის ანგარიში ........ 2:4
მსოფლიო ........ ჩემპიონატი
სლოვაკეთი-დანია ........ 4:1
საფრანგეთი-ნორვეგია ........ 2:5
რუსეთი-ფინეთი ........ 2:2(0:1ბ)
შვეიცარია-აშშ ........ 5:3
კანადა-აშშ ........ 3:2
ჩეხეთი-გერმანია ........ 5:2

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# წლის 100 საუკეთესო ფოტო შერჩეულია

ეკა ირემაშვილი

**ევროპის დღეს კონკურსმა „ქოლგამ“ ტრადიციულად გამოფინა ჟიურის მიერ შერჩეული წლის 199 საუკეთესო ფოტო, რომელთაგან ყველაზე გამორჩეულს 12 მაისს გამოავლენენ.**

სავაჭრო ცენტრმა „თბილისი ცენტრალი“ ფოტოკონკურს „ქოლგას“ უმასპინძლა. წელს ეს კონკურსი იუბილარია და უკვე მეათედ იმართება. მის მიმართ ინტერესი წლიდან წლამდე იზრდება. როგორც მისი ორგანიზატორი ბესო ხაინდრავა ამბობს, კონკურსანტები წლიდან წლამდე იზრდებიან, იხვეწებიან და მათთან საკონკურსოდ ერთმანეთზე უკეთესი ფოტოები გროვდება.

პირველად „ქოლგა“ 2002 წელს ჩატარდა. მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ჟიურიში არასოდეს არიან ქართველები. ეს კონკურსის დამაარსებლების პოზიციაა. მათ არ სურთ, ვინმემ იფიქროს, რომ ობიექტურობა დაცული არ იყო.

— ამ კონკურსში მთავარია მაქსიმალური ობიექტურობა და არანაირი ჩარევა და ხელის წაკვრა. უკვე შეირჩა 100 საუკეთესო ფოტო, მათგან კი საპრიზო ადგილებზე გასულები 12 მაისს დასახელდება და თითოეული მათგანი 5 ათასლარიან საპრიზო ფონდს თანაბრად გაინაწილებს, — აცხადებს ბესო ხაინდრავა.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელს. ასაკი შეზღუდული არ არის. თემა და ფოტოების რაოდენობაც თავისუფალია, თუმცა მონაწილეობა — ფასიანი და ერთი ფოტოს რეგისტრაციის ღირებულება 1 აშშ დოლარის ეკვივალენტს შეადგენს ლარებში, იმ კონკურსანტებისთვის კი, რომლებიც საქართველოში რეგისტრირდებიან, თითოეულ ფოტოზე საფასური 1 ლარია. საკონკურსოდ შეირჩა ციფრული, ასევე ფირით გადაღებული ფოტოები, სამაგიეროდ დაუშვებელია მობილური ტელეფონით გადაღებული სურათების წარდგენა.

ფოტოკონკურს „ქოლგას“ დაწესებული აქვს სპეციალური ნომინაცია „კონცეპტუალური ფოტოპროექტი“. კონკურსის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, საავტორო უფლებები რჩება ფოტოგრაფს. წლის 100 საუკეთესო ფოტო გამოქვეყნდება ფოტოკატალოგში.

საიუბილეო მეათე ფოტოკონკურს „ქოლგაში“ განაცხადების მიღება დასრულდა 25 მარტს. მონაწილეთა რაოდენობამ საქართველოდან 300 შეადგინა, უცხოეთიდან კი 50-მდე მონაწილეა. მთლიანობაში საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო 4.500 ფოტო. თავისუფალ თემასთან ერთად განსაზღვრული იყო სპეციალური ნომინაცია — კონცეპტუალური ფოტოპროექტი.

წლევანდელ ფოტოკონკურსში მონაწილეობენ გერმანიის ქალაქ კიოლნის ხელოვნების, დიზაინისა და კომუნიკაციების ინსტიტუტის სტუდენტები, ჟიურის მუშაობა კი გერმანელი ფოტოგრაფის ვოლფგანგ ცურბორნისა და ფოტოკრიტიკოსისა და გალერისტის თინა შელჰორნის მონაწილეობით წარიმართა. ისინი თბილისს 8 მაისს ეწვივნენ და „ქოლგის“ მონაწილეებისათვის ატარებენ სემინარს. ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია ტრადიციული ღონისძიებები. „ქოლგის“ ორგანიზატორების მიერ დაწესებული არასაკონკურსო პრიზი — ქართული ფოტოხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, დახურვის ცერემონიაზე პრემიასთან ერთად, ჩვეულებისამებრ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო გადასცემს ღვაწლმოსილ ფოტოგრაფს. თბილისის მერიის მიერ დაწესებულია საპრიზო ფონდი, რომელიც შეადგენს 5.000 ლარს. ის თანაბრად გადანაწილდება კონკურსის გამარჯვებულებზე. დამზადდება მაღალი ხარისხის ფოტოკატალოგი, რომელიც დაურიგდებათ ფესტივალის მონაწილეებსა და პარტნიორ ორგანიზაციებს.

გამარჯვებულთა გამოსავლენად კონკურსზე სამკაციანი ჟიური მუშაობს, რომელიც ყოველწლიურად იცვლება. ჟიურის შემადგენლობაში პროფესიონალი ფოტოგრაფები არიან. საპრიზო ფონდი შეადგენს 5.000 ლარს, რომელიც თანაბრად გადანაწილდება კონკურსის ხუთ გამარჯვებულზე. ფოტოკონკურსის დახურვის ცერემონიალზე ფოტოხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ალექსანდრე როინაშვილის პრიზის მფლობელიც გამოცხადდება.

ფოტოკონკურსის გარდა, „ქოლგა“ სპეციალურ სემინარსაც ატარებს კონკურსის მონაწილეებისთვის. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ფოტოსახლი „ქოლგა“ გამართავს სემინარს თემაზე „თანამედროვე ფოტოგრაფია“. გერმანიიდან მოწვეულნი არიან ფოტოკონკურს „ქოლგა 2011“-ის ჟიურის წევრები — გერმანიის ფოტოგრაფიის აკადემიის პრეზიდენტი ვოლფგანგ ცურბორნი და გალერეა „ლიხტბლიკის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი თინა შელჰორნი.

# ხელისუფლება პროვოკაციაზე განზრახ მიდის

დასაწყისი მე-7 გვერდზე

***— როგორც ქართული პარტიის, ისე სახალხო კრების ლიდერები აცხადებენ, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში უკან არ დაიხევენ და, თუ ხალხს გამოიყვანენ, სახლში აღარ გაუშვებენ. რა სურათი შეიძლება მივიღოთ ამ შემთხვევაში, თუკი არც ხელისუფლება წავიდა დათმობაზე და პროვოკაციებსაც ექნება ადგილი?***

— მე სცენარებს, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ, იმიტომ რომ ბუნდოვან განცხადებებზე რაიმე კონკრეტულ შეფასებას ვერ გავაკეთებ, ეს ერთი და მეორე, ალბათ, ისიც უნდა გავიგოთ, რომ ღიად რევოლუციის გეგმები ან საპროტესტო აქციების სტრატეგია არ ჟღერდება, მაგრამ მე, პირველ რიგში, ვისურვებდი, რომ მოქალაქეებმა თავიანთი პროტესტი გამოხატონ, მიუხედავად იმისა, მათ არსებული ლიდერი მოსწონთ თუ არა. ჩვენ უნდა შევეჩვიოთ საკუთარი უფლებების დაცვას და არა ვინმეს გაყოლას. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და მთავარი. მე წარმოუდგენლად მიმაჩნია, როდესაც არის ასეთი არადემოკრატიული რეჟიმი, ფეხქვეშ არის გათელილი ადამიანის უფლებები, სრული ტერორისკენ მიჰყავს ჩვენს ხელისუფლებას ქვეყანა და ის სულ მალე ოლიგარქების საკუთრებად გადაიქცევა. ამ ვითარებაში იმაზე დავიწყოთ ვაჭრობა, რომ ეს ლიდერი არ მომწონს ის ლიდერი მომწონს, მეც ძალიან ბევრი ლიდერი არ მომწონს, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენი პროტესტის გარეშე ამ ქვეყანას არ ეშველება ნამდვილად. ეს არის ერის მორალური პასუხისმგებლობა.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ თუ მასობრივად გამოვა ხალხი ქუჩაში, ხელისუფლება ვერაფერს გაბედავს?***

— ეს თავისთავად ცხადია, რაც უფრო მეტი ადამიანი გამოვა ქუჩაში, მით უფრო თავშეკავებული იქნება ხელისუფლება. ეს ორჯერ ორი ოთხია, იმდენად, რამდენადაც მასის ყველას ეშინია. ასე რომ, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იმ ადამიანმა, რომელიც თვლის, რომ აქციების დროს დივანზე წამოწვება და ტელევიზორს შეხედავს, უნდა იფიქროს იმაზე, რომ თუ იმ აქციებს დაარბევენ, სწორედ იმის გამო დაარბევენ, რომ ის წამოწოლილი იყო და ზარმაცობდა.

***— რამდენად იქნება დასავლეთის მხარდაჭერა?***

— დასავლეთი, შეიძლება ითქვას, უკვე დაიღალა სააკაშვილის დემოკრატიულობის თამაშით, ამიტომ მეტი ობიექტურობით შეაფასებს სიტუაციას, მაგრამ, არა მგონია, უფრო ღიად ჩაერიოს, როგორც ეს სხვა რიგ შემთხვევებში მოხდა, იმიტომ რომ დაიღალა არა მხოლოდ სააკაშვილის დემოკრატიულობის თამაშით, არამედ — ჩვენი ქვეყნის გაურკვეველი ბედის გაურკვეველი პერსპექტივებითაც.

***— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ყველაფერი ქართველი ხალხის გადასაწყვეტია?***

— ყოველთვის ასე იყო. უბრალოდ, მე მეჩვენება, რომ ჩვენი საზოგადოება, ერთი მხრივ, იმედგაცრუებულია, მეორე მხრივ, შიშის ფაქტორი მოქმედებს და მესამეც — ალბათ, ხასიათშიც გვაქვს მუდმივი მომენტები, როდესაც ჩვენი პასუხისმგებლობა მხოლოდ ჩვენი ვიწრო სოციალური ჯგუფის მიმართ გამოიხატება.

***— რვიანის მოლაპარაკებების ჩაშლამ აჩვენა, რომ ხელისუფლება არანაირ დათმობასა და მოლაპარაკებაზე არ მიდის, რაც იმის მაჩვენებელია, რომ, თავის მხრივ, ხელისუფლებაც შეეცდება იბრძოლოს ბოლომდე სკამების შესანარჩუნებლად...***

— ხელისუფლებას დარჩა ღია ამოცანის შესრულება. ეს არის ძალაუფლების შენარჩუნება, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მათ შორის, თუნდაც იმის ხარჯზე, რომ აღმოჩნდნენ დასავლეთის მხრიდან იზოლაციაში. ამიტომ ხელისუფლების მხრიდან მე სხვა კონკრეტულ ამოცანებსა და მიზნებს ვერ ვხედავ, გარდა ძალაუფლების შენარჩუნებისა.

***— თუნდაც სისხლის ღვრის ფასად?***

— ვერ გეტყვით, რომ სისხლის დაღვრის სურვილი გააჩნდეს ხელისუფლებას. რა თქმა უნდა — არა, მაგრამ, თუ აღმოჩნდნენ იმ ტიპის არჩევნის ქვეშ, რომ ეს ხელისუფლება ან მიდის ციხეში, ან უნდა გაისროლონ, მაშინ, ალბათ, უფრო გაისვრიან. ეს რისკი ნამდვილად არსებობს.

# თამარ გვერდწითელი თბილისში იმღერებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია დაამთავრა. წლების განმავლობაში არაერთი ჯილდო და აღიარება მოიპოვა — არის საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, მრავალი საერთაშორისო მუსიკალური კონკურსის გამარჯვებული და უამრავი საპატიო პრემიის მფლობელი, ლაურეატი პრემიისა „მშვიდობის დამცველი“, მიღებული აქვს წოდება „საპატიო მეცენატი და ქველმოქმედი“, დაიმსახურა ჯილდო „სიკეთისა და გულისხმიერებისათვის“.

თამარ გვერდწითელი თავის ერთგულ მსმენელს იმითაც ხიბლავს და ატყვევებს, რომ მღერის ქართულ, ინგლისურ, ესპანურ, რუსულ, ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ, უკრაინულ, ებრაულ ენებზე.

თამარ გვერდწითელთან ერთად კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, ნიკა მემანიშვილი, დირიჟორი ზვიად ბოლქვაძე, კომპოზიტორი ნიკა ნიკვაშვილი, მომღერლები თემურ წიკლაური და აჩიკო ნიჟარაძე, ანსამბლი „თბილისი“, სამების საპატრიარქო გუნდი სვიმონ ჯანგულაშვილის ხელმძღვანელობით, ბენდი პაატა ანდრიაძის, გია სალაღიშვილის, ირაკლი მენთეშაშვილისა და ნოდარ ექვთიმიშვილის შემადგენლობით. სპეციალურად ამ დღისთვის საქართველოში ჩამოვა ცნობილი ვიოლონჩელისტი ბორისლავ სტრულოვი, რომელიც ცხოვრობს ამერიკაში და კონცერტებს მართავს მსოფლიოს საუკეთესო დარბაზებში — კარნეგი ჰოლში, ვაშინგტონში კენედის ცენტრში, ნიუ იორკის, ლონდონის, მადრიდისა და სხვა პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებში. იგი გამოსულა 30.000-იანი აუდიტორიის წინაშე. ძირითადად ასრულებს კლასიკურ ნაწარმოებებს, თუმცა მიიჩნევს, რომ 21-ე საუკუნის მუსიკოსი ასევე უნდა უკრავდეს პოპულარულ მუსიკას და არ უნდა ერიდებოდეს ექსპერიმენტებს. თამარ გვერდწითელთან ერთად მას არაერთი კონცერტი აქვს ჩატარებული. თბილისს ეწვევა დირიჟორი მაქსიმ კუზინი (უკრაინა, კრივოი როგის მუსიკალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, კიევის ოპერეტის დირიჟორი), რომელიც სიმფონიურ ორკესტრს უდირიჟორებს.

საკონცერტო პროგრამაში შეტანილია საქართველოს პატრიარქის ორი საგალობელი — „კირიელეისონ“ და „დავითი ლალე“. პროექტის მუსიკალური პროდიუსერი და სცენარის ავტორი ფონდ „იავნანას“ სამხატვრო ხელმძღვანელი თეონა ჯორბენაძეა, პროექტის ორგანიზატორი — დავით ოქიტაშვილი, რეჟისორი კი — გიორგი კიტია.

შემოსული თანხა მახათის მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობას მოხმარდება, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ივერიის ხატის სავანისა და ტაძრის ისტორიული მშენებლობა კი 12 მაისს, ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს დაიწყება. მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესია უერთდება ამ წამოწყებას და საგანგებოდ ამ დღისთვის თბილისში მსოფლიო პატრიარქის წარმომადგენლები ჩამოვლენ. ტაძრის საძირკვლის კურთხევის ცერემონიალს საქართველოს 37-ვე ეპარქიის მრევლი დაესწრება, თბილისის ქუჩებში კი საზეიმო მსვლელობა გაიმართება.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. მაწანწალა, მათხოვრის სახელწოდება საფრანგეთში; 3. ტიროლის მხარის ადმინისტრაციული ცენტრი ავსტრიაში; 4. ქართველი მოქანდაკე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 5. ხორცის შესაწვავი მბრუნავშამფურებიანი ელექტროღუმელი; 6. სოფელი მესტიის რაიონში; 8. ნავთობის რაოდენობის საზომი ერთეული; 11. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მარტვილის რაიონში; 14. ესპანელი კინორეჟისორი; 15. სასიგნალო მოწყობილობა რკინიგზაზე; 16. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 17. ესპანური წესით დამზადებული ღორის შაშხი; 19. მომთაბარე არაბი; 21. აქლემის ბეწვისაგან მოქსოვილი ხალიჩა; 22. მინერალური წყალი სამეგრელოში.

**თარაზულად:** 1. სილის საათი; 5. სულიერი მოძღვარი, დამრიგებელი ინდოეთში; 7. დიდი, მოხრილი დანა; 9. რაიმეს არსებობის დადასტურება, დადგენა; 10. მხატვართა ნამუშევრების საგამოფენო შენობა; 12. კურკოვანი ხილი; 13. ძვირფასი ქვების ძველებური საერთო სახელწოდება; 16. ცნობარი, გზამკვლევი მოგზაურთათვის, ტურისტთათვის; 17. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 18. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 20. წიგნების ყდის დასამზადებლად გამოყენებული ხელოვნური ტყავი; 22. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 23. იტალიელი საესტრადო მომღერალი, კომპოზიტორი მამაკაცი; 24. საჭადრაკო ამოცანა; 25. ლერმონტოვის პიესა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ღვენთი; 2. ზღარბი; 3. კაშაგანი; 4. ვეზუვი; 6. მაჭახელა; 8. ობლიგო; 11. ერისთავი; 12. დემეტრე; 16. ბელგა; 17. ქერჩი; 18. პულსი.

**თარაზულად:** 1. ღვეზელი; 5. სეიმი; 7. ჰაჯიბეი; 9. ნაირობი; 10. სურდინა; 13. „გერნიკა“; 14. ორძელი; 19. მესხეთი; 20. ფეხბურთი; 21. სამთავისი; 22. დიჟონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. კოლხეთი; 3. პაგანინი; 4. ოპერატორი; 5. ქეიფი; 6. იემენი; 8. გლორია; 11. ტრამვაი; 14. არითმეტიკა; 15. ლესელიძე; 16. ტელევიზია; 17. მარიხი; 19. აზნაური; 21. დიუმა; 22. ურალი.

**თარაზულად:** 1. აკაპულკო; 5. ქაჯი; 7. „ელგუჯა“; 9. ოლიგოფრენია; 10. მატრონა; 12. ონტარიო; 13. არომატი; 16. ტრაილერი; 17. მუტი; 18. ჰალვა; 20. „ახმეტელი“; 22. უფიცა; 23. ბადახში; 24. ზედაშე; 25. მარკა.

## ადვილია თუ არა თქვენი გაბრაზება

ტესტი



1. ჩქარობდით და წვენით სავსე ჭიქა წაგექცათ. დაიწყებთ ამის გამო ლანძღვას?
2. მატარებელი იგვიანებს, თქვენ დაგვიანების მიზეზის გარკვევას ცდილობთ, გამცილებელი კი ყურადღებას არ გაქცევთ. დაიწყებთ უხეშობას?
3. ოფიციანტმა უხეშად გიპასუხათ. მოსთხოვთ თუ არა ბოდიშს?
4. ელოდებით, როდის გათავისუფლდება ადგილი ავტოსადგომზე. ამ დროს ვიღაცამ გადაგისწროთ და დაიკავა. დაიწყებთ ჩხუბს?
5. თუ ვინმე თქვენს ახლო მეგობარს აძაგებს, განაწყენდებით?
6. ვიღაცამ უდიერად მოიხსენია დედათქვენი. გაბრაზდებით?
7. ხედავთ, რომ ვიღაც უხეშად ეპყრობა სახედარს. შეეცდებით მის შეჩერებას?
8. გაბრაზდებით, თუ ვინმემ თქვენი გარეგნობა არ მოიწონა?
9. ვიღაც რიგში თქვენ წინ მიძვრება. გამოხატავთ აღშფოთებას?
10. ბავშვები კატას ქვებს უშენენ. გაყრით ბავშვებს?
11. მეზობელი სულ გვიან ბრუნდება შინ და თანაც ხმაურობს. აღშფოთდებით?
12. უცნობი ადამიანი თქვენი თანდასწრებით უნებართვოდ სიგარეტის წევას იწყებს. მოსთხოვთ თუ არა სიგარეტის ჩაქრობას?

**პასუხები**

*დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:*

**0-4 ქულა:** ძნელია თქვენი გაბრაზება. მაშინაც კი, როდესაც ბრაზობთ, ცდილობთ, არ გაამჟღავნოთ, არ გამოხატოთ გრძნობები. გახსოვდეთ, ამან შეიძლება სტრესი და ნერვული დაავადებები გამოიწვიოს.

**5-8 ქულა:** თავნება ადამიანი ბრძანდებით, ადვილად ბრაზდებით და არც გაბრაზებას მალავთ. მიუხედავად ამისა, ახერხებთ გრძნობების კონტროლირებას. ან არ გიყვართ სცენების გამართვა, ან ბუნებით მორცხვი ხართ.

**9-12 ქულა:** ადვილად ღიზიანდებით და ვერ იტანთ იმ ადამიანებს, რომლებიც გაღიზიანებენ. მკაცრი ხართ როგორც სხვების, ასევე საკუთარი თავის მიმართ. ნებისმიერ კომპრომისს პირდაპირ, გულახდილ საუბარს ამჯობინებთ.

გ.თ.

# იაპონიის პრემიერი ხელფასზე უარს ამბობს

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ნაოტო კანმა სამშაბათს გამართული პრესკონფერენციის დროს განაცხადა, რომ ქვეყანაში ბირთვული კრიზისის დასრულებამდე ხელფასის მიღებაზე უარის თქმას აპირებს.

სხვადასხვა მონაცემის თანახმად, იაპონიის პრემიერ-მინისტრის ხელფასი თვეში დაახლოებით 3.3 მილიონი იენია (დაახლოებით 40 ათასი დოლარი). გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრი ყოველთვიურად სხვადასხვა დამატებებსაც იღებს, საერთო ჯამში, 2 მილიონამდე იენის ოდენობით.

იაპონიის საინფორმაციო სააგენტო კიოდოს თქმით, არსებობს კიდევ ბონუსები, რომლებსაც პრემიერი წელიწადში ორჯერ იღებს.

ნაოტო კანის თქმით, მას ხელფასზე უარის თქმა ივნისიდან აქვს გადაწყვეტილი. ამასთან, პრემიერ-მინისტრს არ დაუზუსტებია, ამბობს თუ არა იგი უარს ყოველთვიურ დანამატებზე. თავის მხრივ, „ტოკიო ფაუერ ქომფანიმ", რომელიც ფუკუსიმა-1 ატომური ელექტროსადგურის ოპერატორი კომპანია გახლავთ, დაზარალებულთათვის კომპენსაციის გადახდის მიზნით მთავრობას ფინანსური დახმარება სთხოვა.

კომპანიის პრეზიდენტმა მასატაკა სიმიძუმ განაცხადა, რომ უმაღლესი საბჭოს რვა წევრს — პრეზიდენტს, ექვს აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტსა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს მიმდინარე წლის მაისიდან ხელფასზე უარის თქმა აქვთ გადაწყვეტილი.

გარდა ამისა, ხელფასები შეუმცირდებათ საშუალო დონის მენეჯერებსა და აღმასრულებელ დირექტორებს. შემცირება 60%-ს შეადგენს. ეს ზომა ხარჯების შემცირების გეგმის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს.

იაპონიას ბირთვული კრიზისის სტაბილიზებამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლია. კომპანია „ტეპკომ" სამშაბათს ფუკუსიმას ატომური ელექტროსადგურის მესამე ენერგობლოკში ექვსი რობოტი შეგზავნა, რომლებმაც დაზიანების მასშტაბი უნდა გამოიკვლიონ და რადიაციის დონე გაზომონ.

ჯერჯერობით მესამე რეაქტორის მახლობლად რადიაციის დონე ადამიანებისათვის სახიფათოდ მაღალი რჩება.

პირველ რეაქტორზე უკვე მიმდინარეობს საავარიო სამუშაოები. თანამშრომლები რეაქტორის შიდა ნაწილზე მეთვალყურეობის კამერებს ამონტაჟებენ. შენობაში რადიაციის დონე 10-დან 70 მილიზივერტამდე საათში, თუმცა ზოგიერთ ზონაში საათში 600 მილიზივერტს აღემატება. ადამიანისათვის უსაფრთხოა 0.05-2 მიკროზივერტი საათში.

მაისის ბოლოს სპეციალისტები გაცივების სისტემის წყლის მილების გამართვას დაასრულებენ. საწყის ეტაპზე მილებში საათში 100 ტონამდე წყალი გაივლის, მოგვიანებით ეს მოცულობა ორჯერ გაიზრდება, რაც რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში რეაქტორში ტემპერატურის 100 გრადუსამდე შემცირებისა და სადგურის „ცივი გაჩერების" რეჟიმში გადაყვანის შესაძლებლობას იძლევა.

ანალოგიური ოპერაციები მზადდება მეორე და მესამე რეაქტორებზე, მაგრამ მანამდე იქ სადრენაჟო სისტემასა და ქვედა სართულებზე დაგროვილი რადიოაქტიური ნივთიერებებით ძლიერ დაბინძურებული წყლის ამოტუმბვა იქნება საჭირო.

## სამგლოვიარო განცხადებები



შვილი ნინო წოწონავა, შვილიშვილები თამთა, სალომე გოგინავები, შვილთაშვილი მარიამი, და ზაირა, ძმა უშანგი ლორთქიფანიძეები ოჯახებით, სიძეები ირაკლი, მიშიკო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

**მზია გიორგის ასულ წოწონავას**

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: 10, 11 მაისს, 16 საათზე.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 12 მაისს, 14 საათზე.

მისამართი: დიღმის მასივი, V კვარტალი, I კორპუსი.

---

საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და შემადგენლობა სამძიმარს უცხადებს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოს ომარ კერესელიძეს სიმამრის

**ბუდუ ხარატიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე დოდო, შვილი ქეთევანი, შვილიშვილები შოთიკო, ვაჟიკო, რძალი თამარ ჩიქოვანი, შვილთაშვილი ქეთევანი, ძმა ელგუჯა, და ნანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვაჟა მამაგეიშვილი**

პანაშვიდი: 10, 11 მაისს.

დაკრძალვა: 12 მაისს, 14 საათზე.

მისამართი: მიცკევიჩის 25.

---

მიცკევიჩის ქუჩის №23 მცხოვრებლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მათი ძვირფასი მეზობლისა და მეგობრის, შესანიშნავი პიროვნების

**ვაჟა მამაგეიშვილის**

გარდაცვალებას.

---

სახალხო კრების დევნილთა კომიტეტი სამძიმარს უცხადებს „დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის" ერთ-ერთ ლიდერს დიმიტრი ომანაძეს მეუღლის

**დარეჯან ქარდავას**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა

**იუზა ქარბაძე**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

*საერთაშორისო*

# უკრაინის ყოფილი პრემიერი პროკურატურის გადაწყვეტილებას ასაჩივრებს



უკრაინის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ კიევში, პეჩორის სასამართლოში გენერალური პროკურატურის მიღებული საქმის აღძვრის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. ეს საქმე ტიმოშენკოს მიერ 2009 წელს რუსეთთან გაზის მიწოდების შესახებ ხელმოწერილ შეთანხმებებს ეხება.

ამ საქმის ფარგლებში ტიმოშენკოს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბების ბრალდებები აქვს წაყენებული, რამაც უკრაინას მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა.

ყოფილი პრემიერ-მინისტრის თქმით, იგი რეგულარულად დადის პროკურატურაში დაკითხვებზე და სასამართლოს ობიექტურობაში ეჭვი ეპარება. ტიმოშენკოს თქმით, სასამართლოში იგი პროტესტის გამოსახატავად მიდის.

როგორც ტიმოშენკომ განაცხადა, არ იმყოფება ილუზიების ტყვეობაში და არ ფიქრობს, რომ პეჩორის ან უკრაინის დედაქალაქის რომელიმე სხვა სასამართლო ხელისუფლების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას მიიღებს.

ტიმოშენკომ ასევე აღნიშნა, რომ გაკვირვებული დარჩა იმით, რომ სასამართლოში მისი საჩივრის გამოცხადების თარიღისა და გამოცხადების აუცილებლობის შესახებ მას სასამართლომ კი არა, გენპროკურატურამ აცნობა.

იულია ტიმოშენკო სამშაბათს გენერალურ პროკურატურაში, მთავარ საგამოძიებო განყოფილებაში მეორედ მივიდა. ყოფილ პრემიერსა და გამომძიებელს ოპოზიციური ფრაქციის „ბიუტ-ბატკივშჩინას" დეპუტატი სერგეი ვლასენკო ახლდა. იულია ტიმოშენკომ არაერთხელ სთხოვა გენპროკურორს, საქმეში იგი მისი ადვოკატის სახით ჩაერთოთ.

ვლასენკოს თქმით, სასამართლომ საქმის განხილვის ვადები დაარღვია, რადგან განხილვის დღე ჯერ არ დაუნიშნავს.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ უკრაინის გენპროკურატურამ სერგეი ვლასენკო იულია ტიმოშენკოს საქმეში მისი დამცველის სახით დაუშვა.

უკრაინის გენპროკურატურამ იულია ტიმოშენოკს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 2009 წელს დადებულ გაზის კონტრაქტებთან დაკავშირებით მიმდინარე წლის აპრილში აღძრა. საქმე აღძრულია სამსახურებრივი უფლებამოსილებისა და ძალაუფლების გადაჭარბების ბრალდებებით.

„გაზის საქმეზე" უფრო ადრე ტიმოშენკოს წინააღმდეგ სისხლის სამართლის ორი საქმე იყო აღძრული, რომლებიც მოგვიანებით ერთ საქმედ გაერთიანდა.

გენპროკურატურის აზრით, 2009 წელს რუსეთისაგან გაზის მიღების კონტრაქტების მიღებისას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბების გამო ტიმოშენკომ უკრაინას 1.5 მილიარდ გრივნაზე მეტი ზარალი მიაყენა.

# სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა ჩრდილოეთის ლიდერი სეულში პირობით მიიწვია



სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა ლი მიონ ბაკმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ირს სეულში ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე მხოლოდ იმ პირობით მიიწვევს, თუკი ფხენიანი თავის ბირთვულ პროგრამაზე უარს იტყვის.

სამხრეთ კორეის ლიდერის თქმით, ეს განცხადება ოფიციალური წინადადებაა და ჩრდილოეთ კორეამ უნდა გამოაცხადოს, ამბობს თუ არა უარს ბირთვული იარაღის წარმოებაზე.

თავისი განცხადებით სამხრეთ კორეის პრეზიდენტი ბერლინში, გერმანიაში, დანიასა და საფრანგეთში ერთკვირიანი ტურნეს დროს გამოვიდა.

სამხრეთ კორეის ლიდერის ვიზიტი სამხრეთ კორეასა და ევროკავშირს შორის ურთიერთთავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ძალაში შესვლასთან არის დაკავშირებული.

ამ შეთანხმების ძალით ხუთი წლის განმავლობაში სამხრეთ კორეა და ევროკავშირი ერთმანეთის მიმართ საბაჟო გადასახადებს 98%-ით შეამცირებენ. ეს წესი არ ვრცელდება კორეელი ფერმერების მიერ წარმოებულ ზოგიერთ პროდუქციაზე.

რაც შეეხება ბირთვული უსაფრთხოების საერთაშორისო სამიტს, იგი სეულში 2012 წლის მარტში უნდა გაიმართოს. წინა სამიტი ბირთვულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით 2010 წელს ვაშინგტონში გაიმართა. ამ შეხვედრის დროს 47 ქვეყნის ლიდერები ოთხი წლის განმავლობაში ბირთვული მასალების რაოდენობის მკვეთრად შემცირებაზე შეთანხმდნენ, რათა ტერორისტების ხელში მათი მოხვედრის შესაძლებლობა არ დაეშვათ.

წარსულში სეულმა ფხენიანისაგან რამდენიმე შეიარაღებული ინციდენტის გამო ბოდიშის მოხდა მოითხოვა. ლაპარაკია გასული წლის ნოემბერში კუნძულ იონპჰენდოსათვის ცეცხლის დაშენასა და 2010 წლის მარტში კორვეტ „ჩჰონანის" ჩაძირვაზე.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამხრეთ კორეას მოლაპარაკებების დაწყება რაიმე წინასწარი პირობების გარეშე რამდენჯერმე შესთავაზა. ამ მოლაპარაკებებს ორ ქვეყანას შორის გაჭიანურებული დაძაბულობისათვის ბოლო უნდა მოეღო.

ჩრდილოეთ კორეასთან მოლაპარაკებები ექვსი ქვეყნის მონაწილეობით 2003 წლიდან გრძელდება. გარდა ორი კორეისა, მოლაპარაკებებში ჩართული არიან აგრეთვე ჩინეთი, აშშ, იაპონია და რუსეთი.

მსოფლიო ლიდერები ჩრდილოეთ კორეას ბირთვული პროგრამის შეჩერების სანაცვლოდ ფინანსურ დახმარებას ჰპირდებოდნენ. 2007 წელს ექვსმხრივი მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული შეთანხმების მიხედვით მიღწეულ იქნა შეთანხმება ჩრდილოეთ კორეაში პლუტონიუმის გამამდიდრებელი რეაქტორის დახურვის შესახებ, მაგრამ ორი წლის შემდეგ ორმხრივი ბრალდებების ფონზე შეთანხმება დაირღვა და ფხენიანმა ბირთვული გამოცდები განაახლა.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებმა დაადასტურეს, რომ ბირთვული პროგრამა თავდაცვით მიზნებს ისახავს. ჩრდილოკორეელი ლიდერების თქმით, აშშ-ს ჩრდილოეთ კორეისათვის მშვიდობიანი ატომისათვის საჭირო ტექნოლოგიები რომ მიეწოდებინა, ბირთვული პროგრამა საჭირო აღარ იქნებოდა.

# არნოლდ შვარცენეგერი ცოლს ეყრება




კალიფორნიის ყოფილმა გუბერნატორმა არნოლდ შვარცენეგერმა და მისმა მეუღლემ, მარია შრაივერმა განაცხადეს, რომ 25-წლიანი ქორწინების შემდეგ ერთმანეთს ეყრებიან.

გავრცელებულ განცხადებაში მათ აღნიშნეს, რომ ეს გადაწყვეტილება ხანგრძლივი ფიქრის, განცდის, მსჯელობისა და ლოცვის შემდეგ მიიღეს.

მათ ასევე განაცხადეს, რომ ამჟამად თავიანთი სამომავლო ურთიერთობების გარკვევას ცდილობენ, გარდა ამისა, ოთხ შვილზეც უნდა იზრუნონ.

რაიმე დეტალებზე საუბრისგან მათ თავი შეიკავეს.

არნოლდ შვარცენეგერის წარმომადგენლის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ცოლ-ქმარმა აღნიშნა, რომ ეს პერიოდი თითოეული მათგანისათვის პირად და პროფესიონალურ გარდამავალ პერიოდად დარჩება.

არნოლდ შვარცენეგერმა მიმდინარე წლის იანვარში კალიფორნიის გუბერნატორის პოსტი დატოვა. მისმა მეუღლემ, კენედების დინასტიის წარმომადგენელმა, ქმრის გუბერნატორად არჩევის შემდეგ ტელერეპორტიორის სამუშაო მიატოვა.

*მოამზადა გენადი თეაურმა*

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 11 მაისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **13.30** დამზადებულია საქართველოში **14.00 კალათბურთი.** საქ. ჩემპიონატის ნახევარფინალი **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "სიურეალიზმი, დალის სანდალური წარმატება" **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** ევროპული არჩევანი **23.00** მხ.ფ. **"ეს შეიძლება შენც დაგემართოს"** (ნ. კეიჯი) **01.00** მოამბე **01.20** ევროპული არჩევანი **02.20** ჩვენი ეზო **03.20** მხ.ფ. **"ბიჭებთან ერთად მანქანით გასეირნება"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი "რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა" **14.00** საუკუნის პორტრეტები **19.00** დოკ. ფ."რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა" **20.00** მხ. ფილმი **"პადრე ამაროს დანაშაული"** **01.00** მხ. ფილმი **"ეს შეიძლება შენც დაგემართოს"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"გიჟმაჟეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** კომედი შოუ **17.00** სერ. **"მორჩენას ჟინგა"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **00.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "საოცარი მითები და ლეგენდები" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგონას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მეგ-სუმზირა" (პირდ.) **14.30** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **15.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **16.20** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ღამის შოუ (გან.) **16.00** სერ. **"მეზობლები"** **17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ყოფილი ცოლების კლუბი **23.00** თბილისი ლაივი **23.45** შეგირდი **00.15** პოკერ რინგი **01.25** მხ.ფ. **"უძინართა მზე"** (12) (დ. კაზიშვილი) (სუბტ.) **03.40** მხ. ფილმი **"ევროპელი ჟიგოლო"** (12) (რ. შნაიდერი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"ავტარზურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"ჩემი მიწა"** **12.50, 19.30** სერ. **"სალომეა"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"სკოლის მეგობრები"** **22.00** სცენა **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** სასულიერო საუბრები **11.00** მეზღაპრეები წუთისოფლისა **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ბრავო ალბერ ლოლიშ"** **13.40** ზაქარია ხურთის ხსოვნის საღამო **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"მეტიხარა"** **16.40** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** დოკ. ფილმი "წმინდა მიწაზე" მე-3ნ. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფ. **"ერთი ცის ქვეშ"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომელიც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.35** მოკლ. ფ. **"ზღვიანეთი"** **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სუფთა დაფა **00.40** განთიადის სტუმარი **01.00** დოკ. ფილმი "კინო და წლები" მე-2 ნ.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზვერის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**11 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6766
ევრო — 2,4901
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7672
რუსული რუბლი — 0,0612

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-23, ღამით — 12-14
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-23, ღამით — 13-14
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 15-1§, ღამით — 6-14

## ამინდის პროგნოზი 11 მაისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## ფედერაციამ უმკაცრესი სასჯელი გამოიტანა — სამუდამოდ!



გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართა სადისციპლინო კომიტეტის სხდომა, რომელიც სპეციალურად ჩაწყობილ მატჩებთან დაკავშირებით დაკავებულ ფეხბურთელებს მიეძღვნა.

გეხსომებათ, 30 აპრილს კონსტიტუციის უსაფრთხოების სამსახურმა 5 ფეხბურთელი — როინ ონიანი, ლევან ვართაგავა (ორივე ბაია), სპარტაკ გოგია, კახა კირთაძე (ორივე სამტრედია) და გიგა ბეჭვაია (ვიტ ჯორჯია) დააკავა. ყველა მათგანს ბრალი ტოტალიზატორებთან კავშირში ედებოდა. მართლია, ფეხბურთელები იმ დღესვე დაკითხვის შემდეგ გამოუშვეს, მაგრამ გამოძიება ჯერ კიდევ გრძელდება.

თუმცა, ფეხბურთის ფედერაცია გამოძიებას ბოლომდე არ დაელოდა და 5-ვე ფეხბურთელი სამუდამოდ ჩამოაშორა ფეხბურთს. ჯერ კიდევ სხდომის დაწყებამდე ალმასკომის წევრები ამბობდნენ, რომ მკაცრი იქნებოდნენ, მაგრამ მათგან ასეთ პრინციპულობას არავინ მოელოდა. ალმასკომს 17 წევრი ესწრებოდა, რომელთაგან ცხრამ სამუდამო დისკვალიფიკაციას დაუჭირა მხარი, 8 მათგანი კი 5-წლიან დისკვალიფიკაციას ითხოვდა.

თუ გავრცელებულ ხმებს დავუჯერებთ, ტოტალიზატორებთან დაკავშირებულ საქმეში სულ 125 ფეხბურთელის გვარ-სახელი ფიგურირებს და თუ ყველა მათგანს საქმე დაუმტკიცდა, მალე საერთოდ ახალი ფეხბურთელების მოძებნა მოგვიწევს.

მ. ჟ.

## თამარ გვერდწითელი თბილისში იმღერებს



ანსამბლ „მზიურის“ წევრი, რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი და კომპოზიტორი, თამარ გვერდწითელი, 14 მაისს დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტს გამართავს და მონატრებულ ქართველ მსმენელს შეხვდება.

„საქართველოვ, სიმღერავ ჩემო“, — ასე ეწოდება კონცერტს, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ჩატარდება.

თამარ გვერდწითელი ქართველი მსმენელის წინაშე ანსამბლ „მზიურის“ წევრებთან ერთად წარდგა. იგი თბილისში „მზიურის“ სახელობის ვარსკვლავის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე საგანგებოდ ჩამოვიდა. მას კონცერტები აქვს ჩატარებული კარნეგი ჰოლში, აკადემ-ჰოლსა და პარიზის ოლიმპიაში. თამარ გვერდწითელის შემოქმედებას თან სდევს მიშელ ლეგრანის ცნობილი გამონათქვამი — „პარიზო, დაიმახსოვრე ეს სახელი — თამარა!“

თამარ გვერდწითელი ამჟამად რუსეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს. საესტრადო ჟანრის გარდა, იგი მუსიკალურ სპექტაკლებშიც იღებს მონაწილეობას. მან


გაგრძელება მე-10 გვერდზე



# ყურადღება!

## მათთვის, ვინც ვერ მოახერხა 100 წიგნის პირველი ტომის, განდის, შეძენა!

"ახალი თაობის" 9 მაისის ნომრიდან ისევ გაიყიდება განდის ავტობიოგრაფია, იგივე ფასად:

გაზეთი + წიგნი = 8 ლარი





## ასტროპროგნოზი 11 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
ჰარმონიული დღეა

**ვერძი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **კურო** — სახლში სიახლეა, ძვირფას ავეჯს შეიძენთ. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, ოცნებასაც აისრულებთ. **კირჩხიბი** — ახალი საქმე გაამართლებს, დაგაჯილდოვებენ. **ლომი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ქალწული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — საყიდლებზე წასვლა ოპტიმიზმის საფუძველს გაძლევთ, მთლიანობაში მხიარული დღე გამოგივათ. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **მერწყული** — სიახლის დღეა, თქვენს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. **თევზები** — ჰარმონიული დღეა, იაქტიურეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სამიჯნურო ხასიათის სპარსული ოთხსტრიქონიანი ლექსი; 2. მუსიკალური ინტერვალი; 3. შვედი კინორეჟისორი; 4. მთიანეთი აზიაში; 6. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 8. პერუში მცხოვრები ინდიელთა ტომი; 11. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 12. ფრანგ კომედიოგრაფ პოკლენის ფსევდონიმი; 16. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 17. ლოყა ანუ...; 18. მიხეილ ლერმონტოვის პიესა.

**თარაზულად:** 1. ბრიტანელი მაგნატი, საინფორმაციო სააგენტოს დამფუძნებელი; 5. რაიმე შემთხვევის შემსწრე, მნახველი; 7. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 9. მეცნიერის, ფილოსოფოსის, ექიმის იბნ სინას მეორე სახელი; 10. სპეკულაციური გარიგება ბირჟაზე; 13. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 14. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 15. შაქრის ლერწმისგან მომზადებული სპირტიანი სასმელი; 19. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 20. ქუჩის მუსიკოსთა სახელწოდება საფრანგეთში; 21. დასპირტული ღვინო; 22. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# ეს ხელისუფლება მალე დამთავრდება

შორენა კოღოღაშვილი

**დემოკრატიული მოძრაობის წევრი გიორგი კობახიძე დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება პანიკაშია და განცხადებები და შავი პიარი, რომელიც კრების წინააღმდეგ აგორდა, სწორედ ხელისუფლებიდან მოდის.**

კობახიძე გამორიცხავს სახალხო კრებასთან რუსული ფულის და რუსული გეგმის კავშირს და აცხადებს, რომ ეს ხელისუფლება ძალიან მალე დამთავრდება.

— ჩვენი გეგმა გათვლილია იმაზე, რომ რაც უფრო სწრაფად მოხდება ხელისუფლების გაშვება, მით უფრო კარგი იქნება. მთავარი პირობა ჩვენი ის არის, რომ უკან დახევას არ ვაპირებთ. პირობა, რომელიც ხალხს მივეცით, რომ უკან არ დავიხევთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ, იქნება შესრულებული, — აცხადებს კობახიძე, რომელსაც იმედი აქვს, რომ საპროტესტო აქციებზე ხალხი მივა და ეს აქციები სამი-ოთხი თვე არ გაიჭიმება.

რაც შეეხება იმას, არის თუ არა 2011 წელი სააკაშვილისთვის ბოლო საპრეზიდენტო წელი. ბურჯანაძის თანაპარტიელი დარწმუნებულია, რომ თვის ბოლოს ანუ მაისის ბოლოს სააკაშვილის მმართველობა დასრულდება.

**გთავაზობთ ინტერვიუს გიორგი კობახიძესთან**

***— ბატონო გიორგი, ხელისუფლება რევოლუციური ოპოზიციის ნაბიჯებში რუსულ კვალს ხედავს. კოკა გაბაშვილმა პირდაპირ განაცხადა, ხელისუფლება არ დაუშვებს საქართველოში რუსული სცენარით არეულობას. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?***

— მე მთავარ სათქმელს ვიტყვი: ხელისუფლება აშკარად პანიკაშია. პანიკის პირველი ნიშანი ის არის, რომ გამრავლდა პოლიტპატიმრების რიცხვი უკვე ახალგაზრდების ხარჯზე. მხედველობაში მაქვს რუსთავში ჩატარებული სპეცოპერაცია პოლიციის მიერ, როცა იყო პროვოცირებული ექსცესები და შემდეგ დააპატიმრეს ახალგაზრდული მოძრაობის წარმომადგენლები. ეს არის ძალიან სამარცხვინო ფაქტი. თუ ვინმეს რაღაც პარალელები ელანდება, პირველ რიგში, ეს პარალელი დაინახოს. ეს არის ანალოგი 20-იანი წლების ბოლშევიკურ საბჭოთა წყობილებასთან. რაც შეეხება რუსეთთან დაკავშირებით გოკა გაბაშვილის განცხადებას, ბუნებრივია, გაბაშვილი არის გამხმოვანებელი. ის არ არის ის ფიგურა, რომელსაც თვითონ შეეძლება პოლიტიკური შეფასებების კეთება. მას ამის უფლებაც არ აქვს. აქ არის იმ თამაშის ნაწილი, რომელსაც ხელისუფლება დიდი ხანია გვთავაზობს. მთლიანად რუსული სცენარით მოღვაწეობს ამ 7 წლის განმავლობაში სააკაშვილის ხელისუფლება. მხედველობაში მაქვს ის, რომ ტერიტორიების 20% რუსებს გადასცა თავისი გამიზნული მოქმედებების შედეგად და ეკონომიკის საკონტროლო პაკეტი. ეს არ არის ჩემი სიტყვები. ეს არის ცნობილი ქართველი ეკონომიკის ექსპერტების — ეკონომიკის საკონტროლო პაკეტი რუსეთის ხელში აღმოჩნდა ამ ხელისუფლების გამოისობით. აქედან გამომდინარე, ჯერ სარკეში ჩაიხედოს მიხეილ სააკაშვილმა და მერე გამოიყვანოს ამ ტექსტებით თავისი ხელქვეითები ჩვენზე სასაუბროდ. ეს არის ის სცენარი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების, ქართველი ხალხის ინტერესებშია და ჩვენი ქვეყნის გადარჩენისკენ არის მიმართული.

***— შეგნებულად არასწორად აფასებს ხელისუფლება მიმდინარე პროცეს? სურს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები მსგავსი განცხადებებით კიდევ უფრო დაძაბოს?***

— ხელისუფლება პანიკაშია და თავს იცავს. ეს არის ინსტინქტებზე განპირობებული მოქმედებები. რაც შეეხება რუსეთს, რუსეთს აქვს ასეთი პოზა: მაგინე რაგინდ უშვერი სიტყვებით, ოღონდ ჩემი ინტერესები გამატარებინე. იგივე ვაშაძის გუშინდელი განცხადებაც შეიძლება ამ რიგში ჩავაყენოთ. თურმე ვაშაძეს აქვს საფუძველი, რომ დააკნინოს რუსეთის პრეზიდენტის პოლიტიკური ფიგურა; მაშინ, როცა ვაშაძეს და მის დირექტორ სააკაშვილს, როცა გაეხარდებათ, მაშინ უბარტყუნებენ მედვედევი და პუტინი ხან ერთ ლოყაში, ხან მეორეში, თან პანღურებსაც არ აკლებენ.

***— რის საფუძველზე აკეთებთ განცხადებას, რომ ხელისუფლება პანიკაშია. თქვენი აზრით, სააკაშვილი რევოლუციურ სუნს გრძნობს?***



— თუ ოპოზიციურ ძალებს გულისხმობთ, აქ ეს არის მეორეხარისხოვანი, რადგან მე სახალხო კრებაზე ვლაპარაკობ. სახალხო კრება არ არის პოლიტიკური წარმონაქმნი. რა თქმა უნდა, მას პოლიტიკური მიზნებიც გააჩნია, რადგან საქმე ქვეყნის გადარჩენას და არსებული სისტემის დემონტაჟს ეხება. ეს არის წმინდა სახალხო მოძრაობა, რადგან ამ მოძრაობის მართვაში გაცილებით დიდი როლი წარმომადგენლობის თვალსაზრისით აქვთ საზოგადოების წარმომადგენლებს, ვიდრე პოლიტიკურ სუბიექტებს. ეს არის ფაქტი. სახალხო კრება არის ის ორგანო, რომელსაც ნებისმიერი პარტიისგან განსხვავებით, რა პოზიციაც არ უნდა ჰ ქონდეს ამ პარტიას, ე.წ. რადიკალია თუ რვიანელია, ყველა შემთხვევაში კრებას აქვს ხალხის სახელით ლაპარაკის უფლება. ამ პოზიციას ზურგს უმაგრებს ის ასი ათასობით ხელმოწერა, რომელიც ჩვენ გვაქვს კარგად დაარქივებული.

***— თქვენი აზრით, სახალხო კრების უფრო ეშინია ხელისუფლებას თუ ოპოზიციური ძალების? სააკაშვილი პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ყოველთვის სუსტად მიიჩნევდა.***

— სააკაშვილს ხალხის ეშინია. მხოლოდ და მხოლოდ ხალხს აქვს ის ძალა, რომ ხელისუფლება აიძულოს.

***— გასაგებია, მაგრამ ხალხს სჭირდება ოპოზიციის სახით ძალა, რომელსაც ანდობს ქვეყნის მართვას. სამწუხაროდ, ვერც ერთი ოპოზიციური პარტია ძალად ვერ ჩამოყალიბდა.***

— პოლიტიკოსებიდანაც მხოლოდ იმას აქვს ფასი და ღირებულება, ვისაც მხარს ხალხი უჭერს. ჯამი რომ აიღოთ ყველა დანარჩენი ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციების ერთის მხრივ და მეორე მხრივ, სახალხო კრება, სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, სახალხო კრება გადაწონის. ეს თქვენ შეგიძლიათ 21 მაისს დათვალოთ. ეს არის თვლით უპირატესობა და არა გულზე მჯიღის ცემით.

***— სახალხო კრების მხრიდან მოქმედებების დაწყების 21 მაისისთვის გადადების შემდეგ ითქვა, კრება საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში დარწმუნებული არ არისო.***

— ეს არის დემაგოგია და ხელისუფლების დაკვეთის შესრულება, როცა ვიღაც ამბობს, რომ 2 მაისიდან გადავწიეთ 21 მაისისთვის. ყველამ კარგად იცის და შეგიძლიათ დოკუმენტები გადაამოწმოთ, რომ 15 მარტს ჩვენ გავაკეთეთ განცხადება, რომ 2 მაისს წარმოვადგენთ გეგმას და გაცნობებთ თარიღს, როცა დავიწყებთ ბოლო ფაზას ჩვენი აქტიური მოქმედებების. ეს არის დოკუმენტი, რომელიც გაზეთებშიც გამოქვეყნდა. ამიტომ ადამიანი უკვე ამ დემაგოგიას რომ იშველიებს, ამით ის თავის სისუსტეს აღიარებს. რაც შეეხება 21 მაისს, ის კიდევ ბევრ რაღაცას უკავშირდება და ამას მერე თანდათან მიმდინარეობის დროს ყველა მიხვდება და დაინახავს.

***— ქართულმა პარტიამ კახეთიდან დაიწყო საპროტესტო აქციები. ხომ არ მოხდება თქვენი პოზიციების გადაკვეთა? სუბარი აცხადებს, რომ მალე ქართული პარტია ხალხს თბილისში დაუძახებს და დედაქალაქში გაიშლება პროტესტი.***

— ყველას აქვს აქციის ჩატარების უფლება. აქციების ჩატარება, თუ ეს არის გულწრფელი, ევალება კიდეც, თუ ძალას პოლიტიკური ძალა ჰქვია. ამიტომ ჩვენ არანაირი სურვილი არ გაგვაჩნია იმისა, რომ დავუშვათ, რაღაც პროტესტი გამოიწვიოს ამ აქტივობებმა ჩვენში. ეს ერთი და მეორე, რაც შეეხება გადაკვეთას: სახალხო კრება როცა ჩანასახში იყო, იმთავითვე განვაცხადეთ, რომ კრება იმიტომ არის სახალხო, რომ მისი კარი ყოველთვის ღია იქნება მათთვის, ვინც ამ მიზნებს და პრინციპებს გაიზიარებს, რომელიც გაცხადდა საინიციატივო ჯგუფის პირველივე განცხადებაში. ეს განცხადება დღესაც ძალაშია და მომავალშიც ძალაში იქნება. აქ მთავარი პირობაა ის, რომ ის მიზნები და მოქმედების გეგმა უნდა იყოს გაზიარებული, რათა პროცესში ჩაერთონ. მეტსაც გეტყვით, ხელისუფლების ნებისმიერ წარმომადგენელს აქვს შანსი იმისა, რომ გადადგას ნაბიჯი და გადავიდეს ჭეშმარიტ გზაზე, რომელიც არის ქვეყნის გადარჩენის ყველაზე მოკლე გზა. ჩვენ არავის კონკურენტად არ განვიხილავთ.

***— დემოკრატიული მოძრაობის წევრები მოსალოდნელ დაპატიმრებებზე საუბრობენ. ბურჯანაძის სიტყვებია, არც გაბედონ, თორემ შესაბამის ძალას დავუპირისპირებთო. იგრძნობა, რომ ხელისუფლება რიგი ლიდერების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს, ვინმეს უთვალთვალებენ ან ა.შ.?***

— ეს არ არის ზეპირი, რაღაც პრევენციაზე გათვლილი განცხადება. რადგან მათ გაბედეს და გია ბურჯანაძეს ხელი მოკიდეს, ბუნებრივია, რომ ეს მუდმივად უტრიალებთ თავის მოკლე მხედველ აზროვნებაში. ჩვენ არასდროს ვლაპარაკობთ საიდანღაც მოტანილი ვერსიებით. ჩვენ ვლაპარაკობთ კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით. მაგრამ, როგორც გია ბურჯანაძის დაპატიმრების შემდეგ დაამუხრუჭეს და მიხვდნენ, რომ ეს მათ ცოტა დაუძლეველ სირთულეებს შეუქმნიდა, პროცესის მიმდინარეობის დროს გადაწყვეტილება შეცვალეს. ეს გაფრთხილება არის შეხსენება იმისა, რომ ჩვენ ყოველდღიურად კიდევ უფრო ვძლიერდებით. ყველას ცხვირში ნავთად ედინება ის შეცდომა, რომელიც არის ადამიანის წინააღმდეგ მიმართული, ვინც არ უნდა იყოს ეს ადამიანი.

***— ჯერ კიდევ ფიქრობენ ოპოზიციონერები და უფლებადამცველები, რომ ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს და ერთიანი ძალით შეუტიოს სააკაშვილის რეჟიმს, თუ რეალურად უნდათ რეჟიმის შეცვლა. ამისთვის კი მათ პირადი ამბიციები გვერდზე უნდა გადადონ. შესაძლებლად მიგაჩნიათ ასეთი დაპირისპირების ფონზე ოპოზიციის გაერთიანება?***

— ვისთვისაც მიზანი არის წმიდათა წმინდა ანუ მიზანი, არც მეტი, არც ნაკლები, ეხება საქართველოს ნორმალურ ქვეყანად ქცევას, მის ამ ჭაობიდან ამოყვანას, რომელშიც ის იმყოფება. მათ აქვთ ამის საშუალება. იმიტომ, რომ ეს შეთავაზება გაკეთებულია. რას ჰქვია, ჩვენ რატომ უნდა მივიდეთ კრებასთან? ზოგიერთისგან გაიგებთ. კრებამ უნდა გადმოდგას ჩვენსკენ ნაბიჯებიო. კრება არის ხალხის ერთობა, ეს ვერ გაიგეს მათ და პარტია არის პარტია. დემოკრატიული მოძრაობა მივიდა კრებასთან. მე ვარ დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენელი და ამის არ მრცხვენია. ასევე უნდა მივიდნენ სხვა პარტიებიც. ისინი მიდიან ხალხის წარმომადგენლობასთან და არა პარტიასთან. მე მგონია, რომ ეს განცხადებები უფრო ხელის შეშლაზეა გათვლილი, ვიდრე იმ სურვილზე, რომ ნათელი მიზნები იყოს მიღწეული.

***— როგორც განცხადებებიდან ისმის, ოპოზიციური პარტიები კრებას ნინო ბურჯანაძის და რუსული ფულის გამო ერიდებიან.***

— ეს ყველაფერი ტყუილია. ეს ყველაფერი შეგიძლიათ გადაამოწმოთ ეროვნულ ფორუმთან და ეროვნულ საბჭოსთან. ისინი კრებაში იყვნენ, მაგრამ არა ნინო ბურჯანაძის გამო შეიჩერეს იქ უფლებამოსილება. არანაირად ეს არ იყო მათი უფლებამოსილების შეჩერების საფუძველი. არც დავუშვათ ის, რომ იქ მათთვის მიუღებელ ქვედა დინებებს ხედავდნენ ჩვენი პარტიის მხრიდან. მათი უფლებამოსილების შეჩერება ცოტა სხვა რაღაცეებმა განაპირობა. ეს ჩემთვის დღემდე აუხსნელია, იმდენად სუბიექტურია ეს მიზეზები. ამიტომ საფუძველი არ აქვს მსგავს განცხადებებს ოპოზიციონერების მხრიდან. ვიმეორებ, ყველაფერი არის ხელისუფლების „შავი პიარის“ შედეგი, რომელსაც ყვება ის, ვისაც აწყობს.

***— დაბოლოს, რიგი პოლიტიკოსები ფიქრობდნენ, რომ სახალხო კრებას ქართულ პარტიას ჩააძირვინებდნენ და მერე ხელისუფლება სუბარს და მის თანაპარტიელებს მიხედავდა.***

— არანაირად არ შედის ჩემს ინტერესებში ვინმეს პარტიაზე ვილაპარაკო. მაგრამ ერთი რამ უნდა ვთქვა. სახალხო კრების წინააღმდეგ რომ მიდის მუშაობა მთელი ამ დროის განმავლობაში, ეს არის ფაქტი. ამას ვინმე შეგნებულად აკეთებს თუ შეუგნებლად, შედეგისთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს. ის, რომ დავუშვათ, ჩვენი მეშვეობით ვიღაც სხვა უნდა ჩაძიროს ხელისუფლებამ, ეს არის აბსურდი. იმიტომ, რომ თუ ვინმეს ჩაძირვა უნდა, ენდომება იმის ჩაძირვა, ვინც უფრო ძლიერია. პარტია ასე მოკლე დროში არ კეთდება, როგორც ზოგიერთს უნდა რომ გვაჩვენოს. ეს პროცესი ბევრ ორგანიზაციას აქვს გავლილი და გაკეთებამდე ძალიან ცოტა მისულა. იმიტომ, რომ ეს არის გარკვეულ დროში კარგად გათვლილი მუშაობა, რომელიც გარკვეულ საფუძვლებს ეფუძნება. ეს საფუძვლებია ერთის მხრივ, იდეოლოგიური და მეორე მხრივ, შესაძლებლობები და საშუალებები. ამის შემდეგ შეიძლება, ამაში ყველას არ უმართლებს, რომ შეიქმნას პარტია. თან პარტიის შექმნას წლები სჭირდება. ბევრი ორგანიზაცია, რომელსაც პარტია ჰქვია, დღემდე პოლიტიკურ კლუბად არის დარჩენილი, მიუხედავად იმისა, რომ წლებს ითვლის მათი არსებობა.

## ლუდუშაურის სახელობის კლინიკაში პატიმარი გარდაიცვალა

გლდანის №18 სამედიცინო დაწესებულებიდან, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ლუდუშაურის სახელობის კლინიკაში გადაყვანილი პატიმარი გარდაიცვალა.

როგორც „მედიანიუსს“ „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ირმა ინაშვილმა განუცხადა, 1977 წელს დაბადებულ პატიმარ კახაბერ კეჭყემაძესთვის, რომელსაც ცეროზის მძიმე ფორმა აღენიშნებოდა, ექსპერტიზა ჯერ კიდევ გასული წლის 13 დეკემბერს უნდა დანიშნულიყო, ამის შემდეგ კი მისი განაჩენის გადავადება უნდა მომხდარიყო და შესაბამისი მკურნალობა დაწყებულიყო, თუმცა ქვეყნის შესაბამისმა უწყებებმა ეს არ განახორციელეს, რამაც პატიმრის გარდაცვალება გამოიწვია.

— ერთი წლის მანძილზე, კახაბერ კეჭყემაძის ადვოკატი გაიოზ ჩარკვიანი მიმართავდა სასჯელაღსრულების სამინისტროს ყველა სათანადო სტრუქტურას, რათა პატიმარი სამკურნალო დაწესებულებაში გადაეყვანათ, რასაც ვერ მიაღწია, — განაცხადა ინაშვილმა.

**მედიანიუსი**

## თურქეთის პრემიერი მაისის ბოლოს საქართველოს ეწვევა

თურქეთის პრემიერ- მინისტრი რეჯეფ ტაიფ ერდოღანი მაისის ბოლოს საქართველოს ეწვევა. ამის შესახებ საქართველოს პრემიერმა ნიკა გილაურმა თურქეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე განაცხადა. ორი ქვეყნის მთავრობის მეთაურების შეხვედრა სტამბულში გაეროს ნაკლებად განვითარებული ქვეყნების კონფერენციის ფარგლებში შედგა.

მათი საუბრის მთავარი თემა იყო ინვესტიციები საქართველოში და თანამშრომლობა ენერგო საკითხებში.

თურქეთის პრემიერი საქართველოში ვიზიტისას სარფის განახლებული საბაჟოს გახსნაში მიიღებს მონაწილეობას.

— საუბარი გვქონდა ენერგეტიკულ პროექტებზე, ინვესტიციებზე, თურქული კომპანიის მიერ საქართველოს ენერგოსისტემაში, 500 კილოვოლტიანი ხაზის მშენებლობაზე, იმ კონტრაქტზე, რომელიც საქართველოსა და თურქეთს შორის უნდა დაიდოს 500 კილოვოლტიანი ხაზის კომერციულ მართვაზე, — განაცხადა გილაურმა.

მისი თქმით, თურქეთი საქართველოს ერთ-ერთი სტრატეგიული და მთავარი სავაჭრო პარტნიორია.

**მედიანიუსი**

## გამგებელი კომპენსაციების უსამართლოდ განაწილებას უარყოფს

ახალგორის რაიონის გამგებელი ზურაბ ფიცხელაური დევნილებისთვის კომპენსაციების უსამართლოდ განაწილებას კატეგორიულად უარყოფს, - ამის შესახებ მან „ინტერპრესნიუსს“ ახალგორელი თამარ მეარაყიშვილის ინფორმაციის კომენტირებისას განუცხადა.

კერძოდ, მეარაყიშვილის განცხადებით, არის შემთხვევები, როცა რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ კონკრეტული დევნილებისთვის გამოყოფილი თანხები ასევე დევნილებმა, მაგრამ სხვა პირებმა აიღეს, რომელთა უმეტესობა ხელისუფლების წარმომადგენლების ოჯახების წევრები არიან.

— სხვისი კუთვნილი კომპენსაცია სხვას არ აუღია, ამის საშუალებას მათ თავად ბანკი არ მისცემდა. კონკრეტულად მეარაყიშვილზე კომპენსაცია დარიცხულია, მაგრამ რადგან თანხის გატანა დააგვიანა, მისი კუთვნილი თანხა მოიხსნა და იმ პირებზე განაწილდა, ვინც სიაში მომდევნო მოდიოდა. ასე იყო სხვა შემთხვევებშიც. ერთი თვე საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ ეს თანხა გაეტანათ, — განაცხადა ფიცხელაურმა.

მისივე განმარტებით, ამჟამად კომპენსაციების განაწილების საკითხს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო განაგებს.

თამარ მეარაყიშვილმა აღნიშნული საკითხის გასარკვევად მთავრობის კანცელარიას ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა. იგი პრემიერს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისკენ მოუწოდებს.

**ინტერპრესნიუსი**

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის
აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე
700 605
ღმერთმა შეგეწიოთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი